სასამართლო საქმისწარმოება. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში, შესაძლოა მიღებულ იქნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ამჟამად კომპანიას აქვს ორი მიმდინარე სასამართლო დავა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სადაც ითხოვენ კომპანიის მხრიდან ზარალის ანაზღაურებას ჯამურად 748 ათასი ლარის ოდენობით. ზარალის მიყენება მოხდა ხანძრის გამო, რომელიც გაუჩნდა კომპანიის სატელეკომუნიკაციო ხაზებს. პრეტენზიების ჯამური მოცულობა 748 ათასი ლარია. საკუთარი შეფასებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ საკმაოდ სავარაუდოა, რომ კომპანია წააგებს საქმეებს. თუმცა, რადგან პრეტენზიების ჯამური ოდენობა უმნიშვნელოა, არ არის მოსალოდნელი არსებითი ზარალის წარმოშობა პრეტენზიებთან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა აღიარებული ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად არის ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომლის განსხვავებული ინტერპრეტაციები გააჩნია სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და გამოძიებას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მძიმე ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ გადახედვისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო მეტხანსაც დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად წარმოადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაძლოა მათი ეფექტი ამ ფინანსურ ინფორმაციაზე იყოს მნიშვნელოვანი, თუ ეს ორგანოები შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას.

2022 წლის 29 დეკემბერს კომპანიამ მიიღო 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის საგადასახადო შემოწმების შედეგები, რის საფუძველზეც კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გაიზარდა 1,155 ათასი ლარით, საიდანაც 755 ათასი ლარი ქონების გადასახადს ეხება, ხოლო 400 ათასი ლარი წარმოადგენს შესაბამის დარიცხულ ჯარიმებს. კომპანიამ გაასაჩივრა საგადასახადო შემოწმების შედეგები და ხელმძღვანელობის შეფასებით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ისინი წარმატებას მიაღწევენ საქმეში, შესაბამისად, დარიცხული თანხები არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებისთვის. მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებითვის“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით (შენიშვნა 17).

შესაბამისობა კოვენანტებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ კოვენანტებს მის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით. ასეთი კოვენანტების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის ხელშეკრულებების შეწყვეტა და/ან სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მოთხოვნა სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე. კომპანია შესაბამისობაში იყო კოვენანტებთან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ნათია სვანია

33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	4,035	2,029	6,064
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	2,130	(2,130)	-
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**6,165**	**(101)**	**6,064**
ვალდებულებები			
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდათმობებისგან	(6,951)	101	(6,850)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(6,951)**	**101**	**(6,850)**

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

ნათია სვანტე

33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	5,051	(892)	4,159
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	1,146	(1,146)	-
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**6,197**	**(2,038)**	**4,159**
ვალდებულებები			
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდათმობებისგან	(8,864)	2,038	(6,826)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(8,864)**	**2,038**	**(6,826)**

სვეტში (b) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის თანხა ნაკლებია: (i) ურთიერთგადაფარვამდე მთლიან თანხაზე, რომელიც ასახულია (a) სვეტში და (ii) დაკავშირებულ ინსტრუმენტთან რომელიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას (c) ყოველი ინდივიდუალური ინსტრუმენტისათვის, რათა არ მოხდეს საბოლოო წმინდა დაქვემდებარების არასრულად წარმოჩენა.

კომპანიას ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმებები აქვს გაფორმებული, რომლებიც აღსრულებადია დეფოლტის შემთხვევაში. ამასთან, შესაბამისი კანონმდებლობით ნებადართულია საწარმოს მიერ სავაჭრო მოთხოვნების ცალმხრივად ჩათვლა, ისევე როგორც ვალდებულების, რომლებიც გადასახდელია და ასახულია იმავე ვალუტაში და დასაფარია იმავე პარტნიორთან. აღნიშნული ექვემდებარება განმარტებას, რადგან ისინი გადაფარულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ნათია სვანიძე

34 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები მთავარ ხელმძღვანელ პირებში. 2023 წლის 1 მარტიდან კომპანიის გენერალური დირექტორი ლაშა ტაბიძე შეიცვალა კომპანიის მაშინდელი ფინანსური დირექტორით ვასილ ბერიშვილით. ირაკლი ჭედია ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2023 წლის 20 მარტიდან დაინიშნა.

ახალი ლოგო და ბრენდის სახელი. ვინაიდან კომპანია აღარ არის VEON ჯგუფის ნაწილი, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის ახალი, ციფრული პროდუქტების განვითარებისკენ მიმართული მისი სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად, ბაზარზე ახალი ბრენდის ქვეშ საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, 2023 წლის 5 აპრილიდან, კომპანია ოპერირებს ახალი ბრენდის სახელითა და ლოგოთი - სელფი მობაილ (Cellfie Mobile), რომელიც წარმოადგენს მის სრულიად ახალ სტრატეგიას აბონენტებისთვის თანამედროვე და ინოვაციური შეთავაზებებით უზრუნველსაყოფად.

ახალი იურიდიული სახელი. 2023 წლის 24 აპრილს, რებრენდინგის კამპანიის ფარგლებში, კომპანიის იურიდიული სახელწოდება შეიცვალა შპს ვიონ საქართველოდან შპს სელფი მობაილ-ზე.

ნათია სვანიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231042712
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.08.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	44007198296023

ორიათას ოცდასამი წლის ორ აგვისტოს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ნათია სვანიძის, დაბ. 22.12.1975წ. პირადი #60003004347, პირადობის მოწმობა #18IB82151, მის: ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 21, ბინა 30, /მოწმობა #05/16, გაცემული თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ/ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "სელფი მობაილ" ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 132.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თანახმად 23.76 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

CELLFIE MOBILE LLC

International Financial Reporting Standards
Financial Statements and
Independent Auditor's Report

31 December 2022



შპს ,,სელფი მობაილ“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კორპორაციული ინფორმაცია 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მომზადების საფუძველი 6
4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 7
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ... 23
6 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 27
7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 29
8 ძირითადი საშუალებები 33
9 არამატერიალური აქტივები 35
10 აქტივის გამოყენების უფლება 36
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 36
12 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები 39
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 40
14 კაპიტალი 40
15 ნასესხები სახსრები 41
16 საიჯარო ვალდებულებები 44
17 ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის 45
18 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 45
19 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით 46
20 მომსახურების ხარჯი 46
21 სხვა საოპერაციო ხარჯები 47
22 ხელმძღვანელობის საფასური 47
23 ფინანსური ხარჯები 47
24 ფინანსური შემოსავალი 48
25 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 48
26 მოგების გადასახადი 48
27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 48
28 ფინანსური რისკის მართვა 51
29 კაპიტალის მართვა 55
30 რეალური ღირებულების შეფასება 56
31 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 57
32 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 58
33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა 59
33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება) . 60
34 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 61

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სელფი მობაილ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	86,510	76,517
აქტივის გამოყენების უფლება	10	23,743	19,393
არამატერიალური აქტივები	9	8,370	8,239
სხვა არაფინანსური აქტივები	12	3,507	4,347
სულ გრძელვადიანი აქტივები		**122,130**	**108,496**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		383	385
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	15,221	9,390
სხვა არაფინანსური აქტივები	12	5,472	6,504
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	17,422	19,517
სულ მოკლევადიანი აქტივები		**38,498**	**35,796**
სულ აქტივები		**160,628**	**144,292**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	14	2	2
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	14	488,165	616,734
სხვა რეზერვები	14	(81,792)	-
დაგროვილი ზარალი		(997,769)	(1,057,684)
სულ კაპიტალი		**(591,394)**	**(440,948)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	658,603	493,508
საიჯარო ვალდებულებები	16	14,909	15,553
ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის	17	1,921	2,677
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**675,433**	**511,738**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	15	9,192	-
საიჯარო ვალდებულებები	16	9,316	7,171
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	49,449	58,355
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	12	8,632	7,976
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**76,589**	**73,502**
სულ ვალდებულებები		**752,022**	**585,240**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**160,628**	**144,292**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2023 წლის 12 ივლისს:

_____ _____

ვასილ ბერიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5- 61 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სელფი მობაილ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები მომსახურებიდან	19	140,658	125,802
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ამონაგები		**140,658**	**125,802**
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	8,10	(30,622)	(24,349)
მომსახურების ხარჯები	20	(25,273)	(22,557)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯი		(21,014)	(17,640)
კომუნალური ხარჯები		(8,099)	(7,233)
მოვლა-შენახვის ხარჯები		(8,094)	(9,234)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	(4,141)	(3,278)
მარკეტინგის ხარჯები		(3,202)	(3,492)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების და გასვლის შედეგად მიღებული წმინდა ზარალი	8	(96)	(639)
მენეჯმენტის მომსახურების საფასური	22	(81)	(495)
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(11,472)	(10,397)
საოპერაციო მოგება		**28,564**	**26,488**
ფინანსური ხარჯები	23	(58,415)	(61,287)
ფინანსური შემოსავალი	24	968	942
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო		87,200	28,410
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25	507	258
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**58,824**	**(5,189)**
მოგების გადასახადის ხარჯი	26	-	-
წლის წმინდა შემოსავალი/(ზარალი)		**58,824**	**(5,189)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**58,824**	**(5,189)**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5- 61 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	განთავსებული კაპიტალი	დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14	**2**	**616,734**	**-**	**(1,052,495)**	**(435,759)**
წლის წმინდა ზარალი		-	-	-	(5,189)	**(5,189)**
სულ წლის სრული ზარალი		**-**	**-**	**-**	**(5,189)**	**(5,189)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	**2**	**616,734**	**-**	**(1,057,684)**	**(440,948)**
წლის წმინდა შემოსავალი		-	-	-	58,824	**58,824**
სულ წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**58,824**	**58,824**
აქციონერისგან ნასესხები სახსრების რეალური ღირებულების შეფასების წმინდა გავლენა	15	-	(128,569)	-	-	**(128,569)**
ერთობლივი ნასესხები სახსრების აღიარება	15	-	-	(86,242)	-	**(86,242)**
ერთობლივი ნასესხები სახსრების დაფარვა	15	-	-	5,541	-	**5,541**
საპროცენტო ხარჯისა და საკურსო სხვაობის გავლენა ერთობლივ ნასესხებ სახსრებზე		-	-	(1,091)	1,091	**-**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	**2**	**488,165**	**(81,792)**	**(997,769)**	**(591,394)**

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის შემოსავალი/(ზარალი) კორპორაციული მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		58,824	(5,189)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	8,10	30,623	24,349
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	4,142	3,278
გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა ძირითად საშუალებებზე	8	(1,356)	524
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	1,452	115
გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	11	(665)	334
აქტივების ხმარებიდან ამოღების ვალდებულების ანარიცხის ცვლილებები	17	(122)	(195)
ფინანსური შემოსავალი	24	(968)	(942)
ფინანსური ხარჯები	23	58,415	61,287
სხვა არაფულადი საოპერაციო (შემოსავალი)/ხარჯები		(1,097)	-
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო		(87,200)	(28,410)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:		**62,048**	**55,151**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(7,071)	(1,329)
სხვა არაფინანსური აქტივები		1,872	970
მარაგები		4	53
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		6,423	(6,973)
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		656	(575)
მიღებული პროცენტი		773	842
გადახდილი პროცენტი		(2,583)	(1,826)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**62,122**	**46,313**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(44,547)	(28,457)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(44,547)**	**(28,457)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(8,110)	-
იჯარის ვალდებულებების დაფარვა		(11,687)	(9,777)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(19,797)**	**(9,777)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(2,222)**	**8,079**
სავალუტო კურსის ცვლილების შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		127	(402)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**13**	**19,517**	**11,840**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**13**	**17,422**	**19,517**

1 კორპორაციული ინფორმაცია

შპს „სელფი მობაილ“ (შემდგომში - „სელფი მობაილ“, „კომპანია“), ყოფილი შპს „ვიონ საქართველო“ (შენიშვნა 34), დაფუძნდა 2003 წლის 19 ნოემბერს და საქმიანობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584.

2022 წლის 8 ივნისს შპს ვიონმა განაცხადა, რომ დაასრულა შპს ვიონ საქართველოს გაყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში „M&A გარიგება“) მინორიტარ აქციონერზე, ხვიჩა მაქაცარიაზე, რომელიც გახდა შპს ვიონ საქართველოს სააქციო კომპანიების - შპს Watertrail Industries (BVI) 71%-ის და შპს Investico Alliance (BVI) 29%-ის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელი მხარე.

არც კომპანიის უშუალო მშობელი და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და შეესაბამება ფასს-ს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს GSM სტანდარტის მობილური სატელეკომუნიკაციო სერვისების - სავაჭრო ნიშნით „ბილაინი“ - მიწოდებით საქართველოს დიდი ქალაქების უმეტესობაში (შენიშვნა 34).

კომპანია საქმიანობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მიერ გაცემული შემდეგი ლიცენზიების საფუძველზე:

- ლიცენზია #F5, #42 და #59 (რადიო სიხშირული სპექტრები: 1775-1785 მგჰ, 1870-1880 მგჰ, 884.50-889.99 მგჰ და 929.50-934.99 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „2G“) კომბინირებული სკეკ-ის 2015 წლის 29 იანვარს გაცემული #55/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა გახანგრძლივდა 2030 წლის 1 თებერვლამდე;
- ლიცენზია #F97 (გრძელვადიანი ევოლუციის რადიოსიხშირული სპექტრები: 806-816 მგჰ და 847-857 მგჰ, ერთად მოხსენიებული როგორც „4G LTE“), მობილური ტელეფონებისა და მონაცემთა ტერმინალებისთვის მაღალსიჩქარიანი მონაცემების უსადენო კომუნიკაციის სტანდარტი, რომელიც გამოიცა 2015 წლის 29 იანვარს სკეკ-ის #56/1 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა იწურება 2030 წლის 1 თებერვალს; და
- ლიცენზია #101 და #102 (რადიო სიხშირის სპექტრები: 1925 -1930 მგჰ და 2115 - 2120 მგჰ - ლიცენზია F101; და 1930 - 1935 მგჰ და 2120 - 2125 მგჰ - ლიცენზია F102, ერთად მოხსენიებული როგორც „3G“), გაცემული 2016 წლის 29 დეკემბერს სკეკ-ის #854/1 და #855/1 გადაწყვეტილებებით, 2031 წლის 29 დეკემბრამდე ვადით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ბამბის რიგის #8, ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილია ა. წერეთლის გამზირი #118.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის განსაზღვრულ მახასიათებლებს, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და ცვალებად ინტერპრეტირებას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2021 წლიდან, საქართველოს ეკონომიკამ COVID-19-ის პანდემიის შედეგებისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა, რამაც ასევე დადებითად იმოქმედა კომპანიის საქმიანობაზეც.

უკრაინასა და რუსეთში განვითარებული მოვლენების მიმართ საქართველოს მოწყვლადობისა და ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და რეალური მშპ 2022 წელს 10,1%-ით გაიზარდა. ძლიერი ზრდის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორებია საქართველოს ვაჭრობის პირობების გამძლეობა სასაქონლო ფასების ზრდის დროს, ფულადი გზავნილების უფრო მაღალი შემოდინება, ასევე რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის მოქალაქეების იმიგრაცია, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის აღორძინებას.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს მოვლენების ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა გავლენა, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად პირვანდელი ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფასს-თან შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის, აგრეთვე, ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გამოიყენოს მისი განკუთვნილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის სფეროები, სადაც განსჯისა და კომპლექსურობის მაღალი დონეა ჩართული, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, გამოვლენილია მე-5 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია .კომპანიის ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („₾“).

ოპერაციები და ნაშთები. ოპერაციები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია ქართულ ლარში ოპერაციის დღის გაცვლითი კურსის მიხედვით. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება დახურვის კურსის გამოყენებით, სხვაობებით, რომლებიც გადატანილია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში „ფინანსური შემოსავლების ან ხარჯების“ ნაწილში. არაფულადი მუხლები, რომლებიც ფასდება უცხოურ ვალუტაში პირვანდელი ღირებულების მიხედვით, გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში საწყისი ოპერაციის თარიღებზე მოქმედი სავალუტო კურსით. რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ განსაზღვრული იყო: ამერიკული დოლარი 1=2.7020 ქართულ ლარს და ევრო 1=2.8844 ქართულ ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობა ასეთი იყო: ამერიკული დოლარი 1=3.0976 ქართულ ლარს და ევრო 1=3.5040) ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამონაგების აღიარება: სელფი მობაილ ამონაგებს გამოიმუშავებს მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო მიწოდებიდან, მთელი რიგი უსადენო და ფართოზოლოვანი ქსელების გამოყენებით; პროდუქტები და მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე ან შეფუთულ პაკეტებად.

ამონაგები მომსახურებიდან

ამონაგები მომსახურებიდან მოიცავს კონტრაქტით გათვალისწინებული და წინასწარი გადახდის ანგარიშსწორების სისტემის აბონენტების მიერ გადახდილ საეთერო დროის გადასახადიდან შემოსავლებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ საკომისიოებს, ქსელში ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს, როუმინგის გადასახადებს და დამატებული ღირებულების მომსახურების (VAS) საფასურს. VAS მოიცავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (SMS), მულტიმედიურ შეტყობინებებს (MMS), აბონენტის ნომრის იდენტიფიცირებას, ზარის დალოდებას, მონაცემთა გადაცემას, მობილურ ინტერნეტს, ჩამოტვირთვად კონტენტს და სხვა მომსახურებას. VAS-სთან დაკავშირებული კონტენტიდან ამონაგები წარმოდგენილია დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, როდესაც კომპანია კონტენტის პროვაიდერების წარმომადგენლის სახით მოქმედებს, და ამ ხარჯების ჩათვლით, როდესაც კომპანია გარიგების მთავარი პირის სახით მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, ამონაგების განაწილების ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვა და კონტენტის მიწოდება ამ გარიგების ირგვლივ ფაქტებისა და გარემოებების ანალიზზეა დამოკიდებული, რაც განსაზღვრავს, ამონაგები ბრუტო ღირებულებით არის აღიარებული თუ ნეტო.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები განსაზღვრულ ვადიანი მომსახურებიდან, განსაზღვრულ ვადიანი სატარიფო გეგმისა და ყოველთვიური გამოწერების ჩათვლით, ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. გამოყენების შესაბამისად ანაზღაურების სატარიფო გეგმის შემთხვევაში, რომლის დროსაც მომხმარებელს გადასახადი ეკისრება ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე, ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში, მომსახურების გამოყენების საფუძველზე. ზოგიერთი სატარიფო გეგმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განაახლონ გამოუყენებელი მომსახურება მომდევნო პერიოდში. ამ სატარიფო გეგმებისთვის, ამონაგები ზოგადად აღიარდება დროთა განმავლობაში, გამოყენების საფუძველზე.

წინასწარ გადახდილი ბარათების გაყიდვა, რომელიც ფულის ამოღების მეთოდის სახით გამოიყენება, განიხილება, როგორც მომავალი მომსახურებისთვის მომხმარებლის საავანსო გადახდა და შესაბამისი ამონაგები გადავადდება მანამ, სანამ მომხმარებელი არ გამოიყენებს საეთერო დროს. აბონენტის ნაშთები ჩამოიწერება ხარჯებში უარყოფითი (მოთხოვნების) ნაშთების შემთხვევაში, ხოლო - შემოსავალში, დადებითი (მიღებული ავანსები) ნაშთების შემთხვევაში, უმოქმედობის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს პერიოდი შეადგენს სამ თვეს უარყოფითი ნაშთების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეს - დადებითი ნაშთების შემთხვევაში.

ამონაგები ურთიერთჩართვიდან და როუმინგიდან

ურთიერთჩართვიდან ამონაგების გამომუშავება ხდება, როდესაც კომპანია სხვა ოპერატორების მობილური ან ფიქსირებული აბონენტებისაგან იღებს ტრაფიკს და ეს ტრაფიკი „სელფი მობაილის“ ქსელში სრულდება.

როუმინგიდან ამონაგები მოიცავს, როგორც „სელფი მობაილის“ მომხმარებლებისგან ამონაგებს, რომლებიც როუმინგით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ასევე „სელფი მობაილის“ ქსელში ჩართული სხვა ქვეყნის მობილური ქსელის მომხმარებლების მიერ როუმინგით სარგებლობისთვის მიღებულ ამონაგებს. ორივე სახის ამონაგების შემთხვევაში, კომპანიას აქვს ერთი ვალდებულება და მობილურით სარგებლობას და როუმინგის მომსახურებას აღიარებს დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტრაფიკის საფუძველზე. საერთაშორისო როუმინგულ ზარებზე უცხოური მობილური ოპერატორებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება ზარის განხორციელება.

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან

ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან გულისხმობს ამონაგებს კომერციული კომპანიებისგან, რომლებიც იყენებენ კომპანიის სერვისს, იმისათვის რომ აბონენტებს მიაწოდონ სხვადასხვა ტიპის ბიზნეს შეტყობინებები. A2P შეტყობინებები წარმოადგენს ისეთ შეტყობინებას, რომელზეც პასუხი მიმღებისგან არ არის სავალდებულო და გამოიყენება ბიზნესის მიერ მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის. ამონაგების აღიარება ხდება იმ პერიოდში როცა მოხდა სერვისის გაწევა.

ქსელში ჩართვის გადასახადი

სელფი მობაილ გადაავადებს ავანსად გადახდილ სატელეკომუნიკაციო ქსელში ჩართვის გადასახადებს. ამონაგების გადავადება აღიარდება სავარაუდო საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდზე ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ავანსად გადახდილი (სააბონენტო) გადასახადები

ყველა სპეციალური მომსახურების ან ფასდაკლების შეთავაზება აქტიურია ერთი თვის განმავლობაში (გახანგრძლივება არ არსებობს). აქედან გამომდინარე, სელფი მობაილ 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში გადაავადებს ავანსად გადახდილ სააბონენტო გადასახადებს. გარდა ამისა, სელფი მობაილ სატარიფო გეგმის ცვლილების მომსახურებისთვის აბონენტებზე დაკისრებულ გადასახადებს გადაავადებს შეფასებული საშუალო სააბონენტო არსებობის პერიოდით ან მინიმუმ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით.

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები ("MEA")

მრავალ ელემენტიანი ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად სელფი მობაილ ერთზე მეტ მომსახურებას აწვდის. მომსახურება/პროდუქტები შეიძლება მიეწოდოს ან კომპლექტად „შეიფუთოს“ სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე ან ერთმანეთთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფებში, თუ ისინი ერთი შეთანხმების ელემენტებს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მომსახურების პაკეტი შედგება მთელი რიგი ინდივიდუალურად შესასრულებელი ვალდებულებებისგან, ინდივიდუალური გასაყიდი ფასი, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მთლიანად პაკეტისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ, ამ პაკეტის შემადგენლობაში შემავალი ინდივიდუალური კომპონენტებისთვის.

მომსახურების პაკეტის ინდივიდუალური გასაყიდი ფასი განისაზღვრება სელფი მობაილის „ეკვივალენტური“ მხოლოდ SIM-ის ტარიფების მქონე დაკვირვებადი ფასის მითითებით, რომელ შემთხვევაშიც საეთერო დროის მომსახურებაზე უფლებამოსილება და ხელშეკრულების ხანგრძლივობა არსებითად ერთი და იგივეა. აღნიშნულის გათვალისწინებით, პაკეტზე გამოიყენება ინდივიდუალური გასაყიდი ფასი და განიხილება როგორც ერთი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ძირითადი მომსახურებების პაკეტის ინდივიდუალური გასაყიდი ფასი ვერ განისაზღვრება (მაგალითად, მომსახურებების პაკეტი ცალკე, მოწყობილობის გარეშე, არასოდეს იყიდება); ან
- ძირითადი მომსახურებების პაკეტის გარიგების ფასი სულ, აღემატება ცალკეული მომსახურებების ცალკეული გასაყიდი ფასის ოდენობას.

ამ პირობებში, კომპანია იყენებს მომსახურების პაკეტებზე გარიგების ფასის დაწესების ნარჩენ მეთოდს. მოწყობილობების ინდივიდუალური გასაყიდი ფასი არის ფასი, რომლითაც სელფი მობაილი ცალკეულ მოწყობილობებს გასაყიდად სთავაზობს მომხმარებელს.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, შენატანები საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდებში, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (როგორიცაა, მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება) დარიცხვა ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან სხვა მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდა, გარდა კანონით განსაზღვრული გადახდის სქემისა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომხმარებლის შეძენის ხარჯები. გარკვეული ხარჯები იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახალ ან არსებულ მომხმარებელთან ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები ბუღალტრულ ბალანსში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად საჭიროა დამატებითი ხარჯების გაწევა;
- დამატებითი ხარჯები ანაზღაურდება;
- გაწეული ხარჯები დამატებით ღირებულებას წარმოადგენს სელფი მობაილისთვის

ყველა ის ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს, ხარჯად აისახება მათი გაწევისას.

არასაოპერაციო მუხლების კლასიფიკაცია. კომპანია ოპერაციების შედეგებს ყოფს საოპერაციო და არასაოპერაციო ნაწილებად, რაც დამოკიდებულია ტრანზაქციის ხასიათზე. შედეგები, რომელიც უშუალოდ ოპერაციებს უკავშირდება, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო მუხლები, მიუხედავად იმისა, ეს მუხლები მოიცავს თუ არა ფულად სახსრებს, არარეგულარულად ან იშვიათად ან უჩვეულო რაოდენობით წარმოიქმნება თუ არა. შედეგები, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ინვესტიციების გაყიდვა, ინვესტიციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები, კლასიფიცირდება როგორც არასაოპერაციო.

საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება. ეს არის განაკვეთი, რომელსაც ზუსტად აკლდება შეფასებული სამომავლო გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრები, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადაზე დაყრდნობით ან უფრო მოკლე პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, და მცირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი შედის შემოსავლის/ხარჯების დაფინანსებაში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების აღრიცხვა მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, იმის მიხედვით, რაც უფრო სავარაუდოა, რომ არ მოახდენს საგადასახადო ორგანოების მიერ გასაჩივრებასა და დამატებითი გადასახადების დაკისრებას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციებისთვის კორექტირებები, პროცენტისა და ჯარიმების გარდა, აღირიცხება მოგების გადასახადის საფასურში. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირება პროცენტებთან და ჯარიმებთან მიმართებაში აღირიცხება ფინანსურ ხარჯებში და სხვა შემოსულობაში/(ზარალში), შესაბამისად, წმინდად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ 5 წლიდან 10 წლამდე პერიოდით გადავადდება იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც 20%-ზე მეტი დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება გარიგების მთლიანი (ბრუტო) თანხით, მათ შორის დღგ-თი.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები თვითღირებულება მოიცავს:

- მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, ვალდებულების თანაბრად აღიარებით;
- მომხმარებელსა და კომპანიის ქსელს შორის კავშირის ხაზის დამონტაჟებისა და მოწყობის დანახარჯებს;
- ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯებს, მაგ.: კავშირების დამონტაჟებისთვის საძირკვლის გათხრა; და
- პროფესიული მომსახურების დანახარჯებს, მაგ. ინჟინრებისთვის გადასახდელი გასამრჯელოები.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	6-20 წელი
საოფისე მოწყობილობები	6-10 წელი
ავეჯი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	3-10 წელი

სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ პასუხობს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს, ხარჯებში აღირიცხება მათი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება ძირითადი საშუალების გამოყენებისთანავე ან იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი საშუალების გამოყენებიდან ან განკარგვიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოსალოდნელი არ არის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტით გამოწვეული მოგება ან ზარალი გამოითვლება როგორც ძირითადი საშუალების განკარგვის შედეგად მიღებულ ნეტო მოგებასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსე ღირებულებას შორის სხვაობა, რომელიც განისაზღვრება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი აღიარების შეწყვეტიდან.

თითოეული აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და შესაბამისად დაკორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, ისეთი განსაკუთრებული აქტივის შეძენისთვის, მშენებლობისთვის ან წარმოებისთვის, უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება (ექვს თვეზე მეტი ხანი), კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო და სხვა ხარჯებს, რასაც სელფი მობაილ გაწევს ფულადი სახსრების სესხად აღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული აქტივის შესაქმნელად.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს მიწას, ოფისებს მაღაზიებისთვის, ოფისის შენობას და სხვა ტერიტორიებს სადაც განთავსებულია ქსელის აღჭურვილობა. იჯარის ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ იჯარის კომპონენტს და თითოეული სივრცის იჯარა აღირიცხება როგორც ერთი იჯარის კომპონენტი.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღამდე, შემცირებული ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყველა თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

აქტვების გამოყენების უფლებას ცვეთა დაერიცხება წრფივი მეთოდით (ვადის გაგრძელების გათვალისწინებით), იჯარის ვადის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულია იჯარის გამოვლენილი კატეგორიები, რომლებიც გამოყენებული შეიძლება იქნეს სელფი მობაილისთვის, ასევე გონივრულად სარწმუნო იჯარის ვადასთან ერთად, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მაღაზიები	3 წელი
მიკრო საბაზო სადგურებისთვის ტერიტორიები	5-8 წელი
საწყობები	5 წელი
ოფისები	3-7 წელი

არამატერიალური აქტივები. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საწარმოს შიგნით შექმნილი არამატერიალური აქტივების შემდგომი დანახარჯები (შესაფერისი განვითარების ხარჯების გამოკლებით) მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ხარჯად აღირიცხება გაწევისთანავე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სისტემატურად მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზება იწყება იმ დროს, როდესაც აქტივის გამოყენება შესაძლებელია. ამორტიზაციის მეთოდი ასახავს მოდელს, რომლის მიხედვითაც კომპანია ვარაუდობს აქტივების მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. თუ ამ მოდელის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ წრფივი მეთოდი გამოიყენება. მომხმარებლებთან ურთიერთობებთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, კომპანია იყენებს ამორტიზაციის ნაშთის შემცირების მოდელს, რომელიც ემყარება მომხმარებლების ღირებულებით კონტრიბუციას. სხვა არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ლიცენზიების ან სხვა მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა დამოკიდებულია ლიცენზიის ან სხვა ხელშეკრულებების პირობებსა და დეტალებზე. ყოველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი გადაისინჯება მინიმუმ ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	10-15 წელი
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	3-10 წელი
სხვა ლიცენზიები	1-8 წელი

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება როგორც აქტივის გასვლის წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აუცილებელია აქტივის გაუფასურებაზე ყოველწლიური შემოწმება, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ვერ წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მნიშვნელოვნად დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. როდესაც აქტივის ან CGU-ს საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება დღევანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. ასეთი გარიგებების არარსებობის შემთხვევაში, შეფასების სხვა შესაბამისი მეთოდი გამოიყენება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია გაუფასურების გაანგარიშებას ახორციელებს დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის, გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება, რომელიც მეხუთე წლის შემდეგ ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის გამოიყენება. უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებით, გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯის კატეგორიებში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ფასდება, თუ რამდენად არსებობს იმის მინიშნება, რომ წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. ასეთი მინიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის სრულად შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებულ დაშვებებში ცვლილებებია შეტანილი. სრული ცვლილება შეზღუდულია ისეთნაირად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, ასევე არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი სრული ცვლილების აღიარება ხდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ნებაყოფლობითი ოპერაციისას ვალდებულების გადაცემით ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის გარიგების“ პრინციპით შესრულებულ ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსურ მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადია და (iii) მესამე დონის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე არსებულ დაკვირვებად მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო მონაცემები).

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL").* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს კრედიტის გავრცელებას ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია გარიგების ხარჯებისთვის. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. შემოსულობა ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობა არსებობს, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო გარიგებებით ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომლის მონაცემებიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს მოიცავს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღიარება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის და მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით აღრიცხულ სავალო ინსტრუმენტებში ჩადებული ინვესტიციებისთვის, რაც მყისიერ ბუღალტრულ ზარალს იწვევს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC').

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ კომპანია ირჩევს ისეთ ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, კომპანია განსაზღვრავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. თუ სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს ისეთ რისკის ან არასტაბილურობის ზემოქმედებას, რომელიც არ შეესაბამება არსებით საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი იცვლება. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. კომპანიამ ბიზნესმოდელი არ შეცვალა მიმდინარე და შედარებად პერიოდში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნებისა და ფასს 15-ის საფუძველზე ამონაგების ნაწილად აღიარებული სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია გასული 12 თვის განმავლობაში გაყიდვების საგადასახადო პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალზე. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე და სამომავლო ინფორმაციის ასახვის მიზნით. კომპანია აანალიზებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორს, ამასთან, მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს არ აქვთ არსებითი შედეგი და, შესაბამისად, კომპანია არ იყენებს ამგვარი სამომავლო კორექტირებას თავის სტანდარტულ განაკვეთებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სეგმენტებს იყენებს:

- მომხმარებლებისგან მისაღები მოთხოვნები
- მოთხოვნები როუმინგისა და ურთიერთჩართვისთვის
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, ან მოსალოდნელი ამოღება უმნიშვნელოა დარჩენილ ვალდებულებასთან შედარებით.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, აქტივის გაყიდვაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. ზოგჯერ კომპანია ხელახლა ათანხმებს ან სხვაგვარად ცვლის ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. კომპანია აფასებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მოდიფიკაცია, სხვა ფაქტორებს შორის შემდეგის გათვალისწინებით: ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე; საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება; ვალუტის დენომინაციაში ცვლილება; ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის გაზრდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე; ან მნიშვნელოვანი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი არ დგას ფინანსური სირთულეების წინაშე.

თუ მოდიფიცირებული პირობები ძირეულად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, კომპანია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ხელახლა შეთანხმების თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად საბოლოოდ გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, ასევე იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. კომპანია ასევე აფასებს, თუ რამდენად პასუხობს ახალი სესხი თუ სავალო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, ძირეულად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ განსხვავება არსობრივად მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა კონტრაჰენტის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განუხორციელებლობით არის გამოწვეული, კომპანია თავდაპირველ და გადასინჯულ მოსალოდნელ ფულადი ნაკადების მოძრაობებს ერთმანეთს ადარებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და სარგებელი ძირეულად განსხვავდება თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად.

თუ რისკები და სარგებელი ძირეულად არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველისგან და მოდიფიკაცია არ სრულდება აღიარების შეწყვეტით. კომპანია ხელახლა ანგარიშობს ბრუტო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში) და მოდიფიკაციის მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე სასესხო და საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირდება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სესხები და ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება ან ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შენაძენზე ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის და საფასურის ან ხარჯების გათვალისწინებით, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შედის ფინანსურ ხარჯებში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სესხები და ნასესხები სახსრები მშობელი კომპანიებისგან

დროდადრო მშობელი კომპანიები გასცემენ სესხებს და ნასესხებ სახსრებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალგანაკვეთიანი სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რაც არის მომავალში დასაფარი თანხების დრევანდელი ღირებულება, სესხის მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სესხად მიღებულ ანაზღაურებასა და მის რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა განიხილება, როგორც მშობელი კომპანიის მიერ კაპიტალში შენატანი, და აღირიცხება, როგორც დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს სესხები და ნასესხები სახსრები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების და ნასესხები სახსრების პირობებში (საპროცენტო განაკვეთები, დაფარვის თარიღები და ა.შ.) შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი არ არის, შეფასებაში ცვლილებებად განიხილება და პერსპექტიულად აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი ცვლილება. გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი შედის ფინანსურ ხარჯებში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარის ვალდებულებები

იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას. ვადის გაგრძელების შესაძლებლობები (ან პერიოდი შეწყვეტის შემდეგ ოფციონის) შეყვანილია იჯარის პირობებში მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზღვრული სასესხო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც „საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს მსგავსი ვადით და უზრუნველყოფით სესხის აღებისთვის, თანხები, რომლებიც აუცილებელია მსგავს ეკონომიკურ გარემოში, აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად“.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობს იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი. იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც ამოწურვით არ სრულდება, აღირიცხება როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი შემოსულობა ან ზარალი მოგება ან ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობა (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

მარაგები. მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგები ხარჯად აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის და რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL"). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების რომელიმე ნივთის დემონტაჟისა და ამოღების სავარაუდო ხარჯები (აქტივის ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები) ემატება ნივთის ღირებულებას ნივთის შეძენისას ან ნივთის შეძენის შემდეგ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის გარდა სხვა მიზნებისთვის, ნივთის გამოყენების დროს.

განთავსებული კაპიტალი. განთავსებული კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები განთავსებულ კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებები. როდესაც არსებობს ცვლილებები არსებული აქტივის ხმარებიდან ამოღების ვალდებულების შეფასებაში, შეფასებული დროის ცვლილებების ან რესურსების გადინების ოდენობის გამო, რომლებიც მოიცავს ვალდებულების დასაფარად საჭირო ეკონომიკურ სარგებელს, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილებას, დაკავშირებული აქტივის ღირებულება კორექტირდება, თუ დაკავშირებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ან გადაფასების ნამეტი კორექტირდება, თუ აქტივი შეფასებულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება, როდესაც კომპანიაში ამჟამად არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) ვალდებულება; არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხების აღიარება არ ხდება თუ სამართლებრივი პროცედურები არის საწყის ეტაპზე.

ანარიცხებად აღიარებული თანხა წარმოადგენს მაქსიმალურად მიახლოებულ ხარჯის თანხას, რომელიც საჭიროა საბალანსო უწყისის თარიღისათვის ვალდებულების დასაფარად. ანარიცხები დისკონტირდება მათი დღევანდელი ღირებულებით, თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითად მნიშვნელოვანია. დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებულია დაბეგვრამდე განაკვეთი, რომელიც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებას ფულის დროითი მნიშვნელობისა და კონკრეტული ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, ანარიცხების დასაფარად საჭირო ხარჯი მთლიანად ან რომელიმე მისი ნაწილი სხვა მხარის მიერ ანაზღაურდება. ანაზღაურება აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული რწმუნება არსებობს იმისა, რომ ანაზღაურება განხორციელდება ვალდებულების შესრულების შემდეგ. ანაზღაურება განიხილება, როგორც ინდივიდუალური აქტივი.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გამოქვეყნების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოქვეყნების შემდეგ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს იმ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელმაც ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება გასცა.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია ის განსჯა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე მოამზადა. ამ მოსაზრებების წარმოდგენისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ 2022 წელს მისი მოკლევადიანი ვალდებულებები 38,091 ათასი ლარით აღემატებოდა მის მოკლევადიან აქტივებს (2021: 37,706 ათასი ლარი). კომპანიამ დააფიქსირა წმინდა შემოსავალი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 58,824 ათასი ლარის ოდენობით, რაც უმეტესად მიეკუთვნება არასაოპერაციო საქმიანობას, კერძოდ, ნასესხებ სახსრებზე სავალუტო შემოსულობას 82,453 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, კომპანიას მუდმივად აქვს დადებითი ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან (2022 წელს: 62,122 ათასი ლარი; 2021 წელს: 46,313 ათასი ლარი). გარდა ამისა, M&A გარიგების ფარგლებში, დარიცხული მენეჯმენტის მომსახურების ვალდებულება 18,424 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 22), რომელიც შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (კერძოდ, მომსახურების ვალდებულებებში) გადაეცა ამჟამინდელ აქციონერს შპს Watertrail Industries (BVI), რომელიც არ აპირებს აღნიშნული ვალდებულების დაფარვის მოთხოვნას უახლოეს მომავალში. გარდა ამისა, კომპანიისთვის აქციონერისგან მიღებული სესხების სრულად გადახდის ვალდებულება დგება 2032 წელს ვადის გასვლისას და M&A გარიგების შემდეგ აღნიშნულ სესხებს ნულოვანი საპროცენტო განაკვეთი ერიცხება. კომპანიის საბოლოო მფლობელს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს კომპანიის დაფინანსების მოთხოვნებს და განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს კომპანიის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშესაწყობად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღიდან მინიმუმ 12 თვიან პერიოდამდე. ამდენად, ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი გაურკვევლობა, რომელიც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევს უახლოეს მომავალში კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების თვალსაზრისით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები. ფინანსური ანგარიშგება, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გარკვეულ შემთხვევებში, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების კორექტირება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ავტორიზებამდე მომხდარი მოვლენების შესაბამისად, თუ ეს მოვლენები უფრო მკაფიოდ გამოხატავს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს. გარკვეულ შემთხვევებში, ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების კორექტირება უნდა განხორციელდეს „მაკორექტირებელი მოვლენების“ შესაბამისად, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების მტკიცებულებას წარმოადგენს; თუმცა, სხვა შემთხვევებში, („არამაკორექტირებელი მოვლენების“ დროს) კომპანია ვალდებული არ არის შეცვალოს ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები, მაგრამ ვალდებულია „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ტიპი განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. „მაკორექტირებელი მოვლენების“ და „არამაკორექტირებელი მოვლენების“ ერთმანეთისგან გარჩევისთვის საჭიროა განსჯა.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. კომპანიის ამონაგები ძირითადად შედგება მომსახურების გაყიდვებისა და პერიოდული გამოწერებიდან მიღებული ამონაგებისგან. კომპანია აბონენტებს სთავაზობს, მრავალელემენტიანი გარიგებებით („პაკეტები“) ან სხვაგვარად, რამდენიმე სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა სატარიფო გეგმით; ასევე, სთავაზობს სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ფასდაკლებებს, ხშირად სხვადასხვა აქციასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო ან კლიენტებთან ურთიერთობის საშუალო პერიოდის განმავლობაში. თითოეული მისაწოდებელი მომსახურების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება კომპლექსური შეფასებები იყოს საჭირო, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანია ასევე ყიდის საბითუმო მომსახურებას სხვა ოპერატორებსა და შემსყიდველებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს მიღმა. ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს შეფასებები ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, სადაც გარკვეულწილად დაეყრდნობა სხვა ოპერატორებისგან მიღებულ ინფორმაციას მიწოდებული მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს შეფასებებს საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა მხარეები სადავოს ხდიან გადასახდელ თანხებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს მომხმარებელთან ურთიერთობის საშუალო ვადა იმ პერიოდის გამოსათვლელად, რომელ პერიოდშიც უნდა აღიაროს შემოსავალი. ეს შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში (მუდამ მზად ყოფნის ვალდებულება) ან ხელშეკრულების განახლების სერიული ან არსებითი უფლებების შემთხვევაში (მაგ., თვიდან თვემდე ხელშეკრულებები). სელფი მობაილის მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადის განსაზღვრის პოლიტიკა შემდეგ ფორმულას ეხება:

მომხმარებელთან საშუალო სასიცოცხლო ვადა = 1 ÷ აბონენტების დენადობა

ხელმძღვანელობა ასევე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულ ოპერაციებში კომპანია მოქმედებს მთავარი პირის თუ წარმომადგენლის სახით. ასეთ შემთხვევაში, სხვა საკითხებთან ერთად, მთავარი ფაქტორი ის არის, თუ რამდენად ითვლება კომპანია ოპერაციებში მთავარ მოვალედ.

გრძელვადიანი აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ნარჩენი ღირებულების, და ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის მეთოდის შეფასებებს. შეფასებები შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიური განვითარების, კონკურენციის, საბაზრო პირობების ცვლილებისა და სხვა ფაქტორების გამო, და შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადებში და ამორტიზაციის ან ცვეთის დარიცხულ ოდენობაში. რთულია ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზირება, ხოლო ჩვენი შეხედულებები ტენდენციებსა და განვითარების ტემპზე შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ზოგიერთი აქტივები და ტექნოლოგიები, რომლებშიც კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ გამოიყენება და საფუძვლად უდევს ახალ ტექნოლოგიებს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურები ვადის კრიტიკული სავარაუდო შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სავარაუდო საშუალო მომხმარებელთან ურთიერთობის დენადობის საფუძველზე, დარჩენილი ლიცენზიით ან საკონცესიო პერიოდით და ტექნოლოგიების და ბაზრების მოსალოდნელი განვითარებით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება მინიმუმ ყოველწლიურად, ზემოთ აღნიშნული და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით. მსგავსი ტიპის აქტივებისთვის, სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის სხვადასხვა საწარმოების მიხედვით, ადგილობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა ზრდის ტემპი, ბაზრის ვადიანობა, აქტივების ჩანაცვლების ან გადაცემის ისტორია და მოლოდინები, გამოყენებული კომპონენტების ხასიათი და ხარისხი. არამატერიალური აქტივების ფაქტობრივი საექსპლუატაციო ეკონომიური ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადისგან და ამით იწვევდეს არამატერიალური აქტივების განსხვავებულ საბალანსო ღირებულებას შეზღუდული ექსპლუატაციის ვადით.

ჩვენ ვაგრძელებთ სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდის შეფასებას რათა განვსაზღვროთ თუ რამდენად იძლევა მოვლენები თუ გარემოებები მოდიფიცირებული ამორტიზაციის პერიოდების გარანტიას. ცვლილება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში არის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, და შესაბამისად ხდება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების კორექტირებაც.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 28-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვს არსებითი გავლენა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე. შესაბამისად კომპანია არ იყენებს მომავალში მოსახდენი დეფოლტის გავლენას ისტორიული ზარალის განაკვეთის კორექტირებისათვის.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის შემდგომი პერიოდის ოფციონის) იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ასეთ შემთხვევებში, როდესაც იჯარის ვადის გაგრძელება სამართლებრივად აღსრულებადია, კომპანიამ განსაზღვრა აქტივების კატეგორიები და განსაზღვრა გონივრულად სარწმუნო იჯარის პირობები.

გონივრული რწმუნების შეფასება გადაიხედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებებში მნიშვნელვან ცვლილებას ექნება ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და ეს მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება.

იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება პირდაპირ განისაზღვროს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

2022 წლიდან კომპანია იყენებს სესხებზე მორგებულ საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის აღიარების დროს გამოქვეყნებულ განაკვეთებს. იჯარის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრაში სხვადასხვა ფაქტორები მონაწილეობენ, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი პირობები, ვალუტა და ბიზნეს სექტორი.

ანარიცხები. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ სამართალწარმოებას, დავებს და პრეტენზიებს, მათ შორის, კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ განხილვებს, ლიცენზიებს, საგადასახადო სტატუსს და ინვესტიციებს, ხოლო შედეგები ექვემდებარება მნიშვნელოვან გაურკვევლობას. სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელმძღვანელობა აფასებს არახელსაყრელი შედეგის ალბათობის ხარისხს და ზარალის ოდენობის გონივრული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. გაუთვალისწინებელი მოვლენების ან ამ ფაქტორების ცვლილების შედეგად, კომპანიას შეიძლება მოუწიოს გატარებული თანხების გაზრდა ან შემცირება ან იმ საკითხისთვის გატარება, რომელიც მანამდე არ გატარებულა იმის გამო, რომ არ ითვლებოდა სარწმუნოდ ან შეუძლებელი იყო გონივრული შეფასების გაკეთება.

განვითარებად ბაზრებზე გარკვეულ ოპერაციებთან დაკავშირებით, კომპანია ჩართულია სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებში. ხელმძღვანელობის შეფასებებს ამ ქვეყნებში სამართალწარმოებასა და მარეგულირებელ დისკუსიებთან დაკავშირებით ახასიათებს გაურკვევლობის მაღალი დონე.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების გამოთვლისას გამოყენებული დაშვებების და ძირითადი შეფასებების მგრძნობელობა და დეტალები მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

6 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება ან ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა. ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს.

6 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჯა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. 'დაფარვა' განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება" ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

7 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარება შეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გაუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობები	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები	საოფისე მოწყობილობები	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	CIP*	სულ
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**7,893**	**328,895**	**38,009**	**711**	**1,134**	**49,759**	**14,575**	**442,137**
დამატება	-	-	27	-	-	-	-	35,160	**35,187**
გასვლები	-	(3)	(12,884)	(248)	-	(288)	(1,220)	-	**(14,643)**
ტრანსფერები	-	124	18,673	1,369	5	-	592	(20,763)	**-**
ცვლილება ARO ანარიცხებში	-	-	(1,205)	-	-	-	-	-	**(1,205)**
2021 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**8,014**	**333,506**	**39,130**	**716**	**846**	**49,131**	**28,972**	**461,476**
დამატება	-	-	-	-	-	-	-	31,038	**31,038**
გასვლები	-	(37)	(101,068)	(1,533)	(50)	(65)	(2,517)	-	**(105,270)**
ტრანსფერები	-	252	37,508	6,691	24	-	675	(45,150)	**-**
ცვლილება ARO ანარიცხებში	-	-	(887)	-	-	-	-	-	**(887)**
2022 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**8,229**	**269,059**	**44,288**	**690**	**781**	**47,289**	**14,860**	**386,357**
ცვეთა და გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბერს	**-**	**3,371**	**293,300**	**34,045**	**416**	**946**	**47,434**	**4,761**	**384,273**
ცვეთის ხარჯი	-	397	11,323	1,741	53	66	1,083	-	**14,663**
გასვლები	-	(1)	(12,753)	(244)	-	(288)	(1,215)	-	**(14,501)**
გაუფასურების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	524	**524**
2021 წლის 31 დეკემბერს	**-**	**3,767**	**291,870**	**35,542**	**469**	**724**	**47,302**	**5,285**	**384,959**
ცვეთის ხარჯი	-	403	16,240	2,311	46	63	1,044	-	**20,107**
გასვლები	-	(20)	(99,703)	(1,515)	(44)	(65)	(2,516)	-	**(103,863)**
გაუფასურების აღდგენა	-	-	-	-	-	-	-	(1,356)	**(1,356)**
2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**4,150**	**208,407**	**36,338**	**471**	**722**	**45,830**	**3,929**	**299,847**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**4,522**	**35,595**	**3,964**	**295**	**188**	**2,325**	**9,814**	**57,864**
2021 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**4,247**	**41,636**	**3,588**	**247**	**122**	**1,829**	**23,687**	**76,517**
2022 წლის 31 დეკემბერს	**1,161**	**4,079**	**60,652**	**7,950**	**219**	**59**	**1,459**	**10,931**	**86,510**

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი დანადგარები.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს საბაზო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ძირითადი საშუალებების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ, რომლებიც სრულად გაცვეთილია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგინა დაახლოებით 159,617 ათასი ლარი (2021 წელს: 210,263 ათასი ლარი).

გაუფასურების შეფასება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების შეფასება, რომლის მიხედვითაც გაუფასურების ინდიკატორები არ გამოვლენილა. 1,356 ათასი ლარის გაუფასურების აღდგენა (2021 წელი: 524 ათასი ლარის გაუფასურების ხარჯი) ეხება დაუმონტაჟებელი, მომველებული ქსელური აღჭურვილობის, დაუმთავრებელი მშენებლობის და სათადარიგო ნაწილების აღდგენას.

9 არამატერიალური აქტივები

სელფი მობაილის არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნი-კაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერი-ალური აქტივები	სულ
ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერს	**119,697**	**17,889**	**159**	**137,745**
დამატება	639	3,486	-	**4,125**
გასვლა / ჩამოწერა	(752)	(3,277)	-	**(4,029)**
2021 წლის 31 დეკემბერს	**119,584**	**18,098**	**159**	**137,841**
დამატება	942	3,331	-	**4,273**
გასვლა / ჩამოწერა	(1,470)	(2,663)	-	**(4,133)**
2022 წლის 31 დეკემბერს	**119,056**	**18,766**	**159**	**137,981**
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2020 წლის 31 დეკემბერს	**115,744**	**14,600**	**132**	**130,476**
ამორტიზაციის დარიცხვა	991	2,164	-	**3,155**
გასვლა / ჩამოწერა	(752)	(3,277)	-	**(4,029)**
2021 წლის 31 დეკემბერს	**115,983**	**13,487**	**132**	**129,602**
ამორტიზაციის დარიცხვა	989	3,152	1	**4,142**
გასვლა / ჩამოწერა	(1,470)	(2,663)	-	**(4,133)**
2022 წლის 31 დეკემბერს	**115,502**	**13,976**	**133**	**129,611**
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერს	**3,953**	**3,289**	**27**	**7,269**
2021 წლის 31 დეკემბერს	**3,601**	**4,611**	**27**	**8,239**
2022 წლის 31 დეკემბერს	**3,554**	**4,790**	**26**	**8,370**

10 აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარით იღებს ფართებს საბაზისო სადგურებისთვის, მაღაზიებისთვის, ოფისისთვის და საწყობისთვის. ქირავნობის კონტრაქტებს, როგორც წესი, აქვთ ფიქსირებული ხანგრძლივობა 1 წლიდან 5 წლამდე.

	ტერიტორია საბაზო სადგურისთვის	მაღაზიები და ოფისები	ავტომობილები	საწყობი	სულ
ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**20,166**	**1,768**	**-**	**-**	**21,934**
დამატება	4,401	-	464	-	**4,865**
გადაფასება და მოდიფიკაცია	2,343	(63)	-	-	**2,280**
ცვეთის დარიცხვა	(8,125)	(1,494)	(67)	-	**(9,686)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,785**	**211**	**397**	**-**	**19,393**
დამატება	2,336	137	-	-	**2,473**
გადაფასება და მოდიფიკაცია	6,631	5,762	-	-	**12,393**
ცვეთის დარიცხვა	(8,312)	(2,088)	(116)	-	**(10,516)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,440**	**4,022**	**281**	**-**	**23,743**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნების ანგარიშები:		
მომხმარებლებისგან	1,452	988
ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	6,734	4,288
როუმინგის პარტნიორებისგან	6,063	4,159
ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	756	1,180
სხვა	4,187	3,723
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(3,971)	(4,948)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**15,221**	**9,390**

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში.

11,620 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2021 წელს: 6,719 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, 9,885 ათასი ლარის (2021 წელს: 5,269 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 1,735 ათასი ლარის (2021 წელს: 1,450 ათასი ლარი) - ევროში.

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა ერთიდაიგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები დაფუძნებულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე ან 2022 წლის 1 იანვრამდე 12 თვის განმავლობაში გაყიდვებზე გადახდის პროფილებზე და ამ პერიოდში განცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აფასებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორს. თუმცა, მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვთ არსებითი გავლენა მომხმარებლების მიერ მოთხოვნების გადახდის უნარზე, ამიტომ კომპანია არ იყენებს ამგვარ საპროგნოზო კორექტირებას მისი ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხების მატრიცის შესაბამისად. ანარიცხების მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციით.

	2022 წლის 31 დეკემბერი				2021 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბა-ლანსო ღირე-ბულება	არსებობის მანძილზე მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბა-ლანსო ღირე-ბულე ბა	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალ-ანსო ღირე-ბულება	არსებობის მანძილზე მოსა-ლოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბა ლან-სო ღირე ბულე ბა
სავაჭრო მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	1%	6,673	84	6,589	1%	3,677	35	3,642
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი-ლებით	10%	1,549	156	1,393	18%	641	114	527
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცი-ლებით	6%	1,028	63	965	24%	539	130	409
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცი-ლებით	1%	880	10	870	4%	591	25	566
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცი-ლებით	72%	4,875	3,514	1,361	87%	5,167	4,499	668
სულ	**26%**	**15,005**	**3,827**	**11,178**	**45%**	**10,615**	**4,803**	**5,812**

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	2022 წლის 31 დეკემბერი				2021 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სხვა მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	0%	1,228	-	1,228	0%	1,023	-	1,023
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	0%	539	-	539	0%	185	-	185
- 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	74	-	74	0%	107	-	107
- 60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით	0%	42	-	42	0%	49	-	49
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	6%	2,304	144	2,160	6%	2,359	145	2,214
სულ	**3%**	**4,187**	**144**	**4,043**	**4%**	**3,723**	**145**	**3,578**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხებში ცვლილებები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამარტივებული მოდელის საფუძველზე, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის პერიოდში:

	2022	**2021**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**(4,948)**	**(4,678)**
ECL ანარიცხების აღდგენა /(ახალი წარმოქმნილი ან შეძენილი)	665	(334)
პერიოდის განმავლობაში აღიარება შეწყვეტილი ფინანსური აქტივები	-	-
ცვლილებები დაშვებებსა და შეფასებებში	95	-
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვა მოცემული პერიოდის მოგებაში ან ზარალში	**760**	**(334)**
ჩამოწერები	217	64
საკრედიტო ზარალის ანარიცხის ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,971)**	**(4,948)**

12 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,560	2,853
კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯები	2,031	1,422
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	881	2,229
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები	**5,472**	**6,504**
ავანსად გადახდილი დღგ IRU შეთანხმებებზე	3,507	4,347
სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	**3,507**	**4,347**

სხვა არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	2,139	1,935
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	3,089	3,016
გადავადებული შემოსავალი	3,404	3,003
სხვა	-	22
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**8,632**	**7,976**

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგებოდა შემდეგი მუხლებისგან:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	9	6
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	17,377	19,473
კორპორატიული საკრედიტო ბარათები	32	31
ფულადი სახსრები გზაში	4	7
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**17,422**	**19,517**

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშებიდან. მიმდინარე ანგარიშებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6%-დან 8%-მდე ადგილობრივ ვალუტაში და 0%-დან 0.4%-მდე უცხოურ ვალუტაში (2021 წელს: 6%-დან 8%-მდე ადგილობრივ ვალუტაში და 0%-დან 1.8%-მდე უცხოურ ვალუტაში). 2022 წელს კომპანიამ მიიღო 773 ათასი ლარის (2021 წელს: 843 ათასი ლარი) ფინანსური შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის გრადაციის საფუძველზე, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული		
სს „საქართველოს ბანკი“ - BB რეიტინგი (2021: BB რეიტინგი) - Fitch-ის მიხედვით	5,887	7,997
სს „თიბისი ბანკი“ – BB რეიტინგი (2021: BB რეიტინგი) - Fitch-ის მიხედვით	6,403	11,000
- სს „ლიბერთი ბანკი“ – BB რეიტინგი Fitch-ის მიხედვით	5,119	-
-სს „ვითიბი ბანკი“ – BB რეიტინგი (2020: BB რეიტინგი) – S&P-ის მიხედვით	-	507
სულ საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	**17,409**	**19,504**

14 კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი. კომპანიის მთლიანი განთავსებული კაპიტალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 2 ათას ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 2 ათასი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი. დამატებითი, სრულად ანაზღაურებული კაპიტალი უკავშირდება მშობელი კომპანიებისგან მიღებული ნასესხებ სახსრების რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. იხილეთ მე-15 შენიშვნა.

სხვა რეზერვები. 2022 წელს კომპანიამ აღიარა 86,242 ათასი ლარის ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან, შესაბამისი ჩანაწერით კაპიტალში, სხვა რეზერვების ნაწილში (შენიშვნა 15). სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შემდგომში შემცირდა დაფარვებით (5,541 ათასი ლარი) და გაიზარდა საპროცენტო დარიცხვებითა და სავალუტო ეფექტით (1,091 ათასი ლარი).

15 ნასესხები სახსრები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრე-დიტო ლიმიტი (თავდა-პირველ ვალუტა-ში)	ათვისებუ-ლი თანხა (თავდა-პირველ ვალუტაში)	ნომი-ნალური საპროცენ-ტო განაკვეთი	ვალუ-ტა	დაფარვის ვადა	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
Watertrail Industries	#164-#197	230,395	230,395	0.0%	USD	31-მარ-32	586,003
სს საქართველოს ბანკი	8369526	18,000	18,000	5.75%*	GEL	7-ივნ-29	16,325
სს საქართველოს ბანკი	8369476	8,000	8,000	9.00%**	EUR	7-ივნ-29	20,082
სს თიბისი ბანკი	12010323	17,550	17,550	5.75%*	GEL	7-ივნ-29	15,918
სს თიბისი ბანკი	12037167	7,955	7,955	9.00%**	EUR	7-მარ-29	20,275
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**658,603**
მოკლევადიანი							
სს საქართველოს ბანკი	8369526	18,000	18,000	5.75%*	GEL	7-ივნ-29	1,874
სს საქართველოს ბანკი	8369476	8,000	8,000	9.00%**	EUR	7-ივნ-29	2,652
სს თიბისი ბანკი	12010323	17,550	17,550	5.75%*	GEL	7-ივნ-29	1,825
სს თიბისი ბანკი	12037167	7,955	7,955	9.00%**	EUR	7-მარ-29	2,841
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**9,192**
სულ ნასესხები სახსრები							**667,795**

(*) პლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი
(**) პლუს 6-თვიანი EURIBOR

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრედიტო ლიმიტი (თავდაპირველ ვალუტაში)	ათვისებული თანხა (თავდაპირველ ვალუტაში)	ნომი-ნალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
ვიონ ჰოლდინგი	#164-#197	230,395	230,395	6.5%	USD	31-მარ-32	493,508
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**493,508**
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**-**
სულ ნასესხები სახსრები							**493,508**

აქციონერისგან მიღებული სესხები. 2022 წლის 7 ივნისს, M&A გარიგების ფარგლებში (შენიშვნა 1), სესხები ვიონ ჰოლდინგისგან (ყოფილი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) გადაეცა შპს Watertrail Industries (BVI), შპს სელფი მობაილის აქციონერ კომპანიას. გადაცემის ხელშეკრულების თანახმად, ყველა უფლება, მოთხოვნა და სარგებელი, მათ შორის დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტი, უპირობოდ და შეუქცევადად გადაეცა შპს Watertrail Industries (BVI)-ს. სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა 6.5%-დან 0%-მდე ყველა სესხისთვის, ხოლო დანარჩენი სახელშეკრულებო პირობები უცვლელი დარჩა. სახელშეკრულებო პირობების ცვლილებამ განაპირობა ნასესხები სახსრების დაფარვა. რეალური ღირებულების ხელახალი შეფასების წმინდა გავლენამ შეადგინა 128,569 ათასი ლარი. რეალური ღირებულების ხელახალი შეფასებისთვის გამოყენებული იყო საბაზრო განაკვეთი 7.1%, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო განაკვეთების საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. კომპანიის ნასესხები სახსრებისთვის მოქმედი საბაზრო განაკვეთის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის ვალუტა, დაფარვის ვადა, უზრუნველყოფა და მსესხებლის ტიპი.

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ერთობლივი ნასესხები სახსრები ბანკებიდან. 2022 წლის 7 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებისა და მათი ცვლილებების მიხედვით, კომპანია გახდა სს თიბისი ბანკიდან და სს საქართველოს ბანკიდან კომპანიის ამჟამინდელი საბოლოო მფლობელის, ხვიჩა მაქაცარიას მიერ მიღებული სესხების თანამსესხებელი. სესხების მიზანი იყო შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI) 100% აქციების შესყიდვის დაფინანსება, რითიც მან ირიბად მოიპოვა კომპანიის 100% საკუთრების წილი. მიღებული სესხების მთლიანმა მოცულობამ 35,550 ათასი ლარი და 15,955 ათასი ევრო შეადგინა. ხელშეკრულებების თანახმად, შპს სელფი მობაილ არის თანამსესხებელი/სოლიდარული მოვალე, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე დამატებითი გამონაკლისებისა და პირობების გარეშე. ამრიგად, კომპანიას აქვს უპირობო პასუხისმგებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე. ბანკების უფლებები თანაბრად, შეუზღუდავად ვრცელდება მსესხებელსა და კომპანიაზე. შესაბამისად, სესხები კომპანიის მიერ იქნა აღიარებული კაპიტალში შესაბამისი ჩანაწერით („სხვა რეზერვები"). სხვა რეზერვები საანგარიშგებო პერიოდში შემდგომ გაიზარდა საპროცენტო დარიცხვისა და სავალუტო წმინდა გავლენის მეშვეობით და შემცირდა დაფარვების მეშვეობით. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ კოვენანტებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ერთობლივ ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 32).

2022 წელს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 55,580 ათასი ლარი (2021: 59,097 ათასი ლარი).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს წმინდა ვალის ანალიზს და კომპანიის ვალდებულებების მოძრაობას საფინანსო საქმიანობიდან თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების პუნქტები არის ის, რაც ანგარიშგებულია, როგორც საფინანსო ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	ნასესხები სახსრები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**461,806**
საპროცენტო ხარჯი	59,097
სავალუტო კორექტირებები	(27,395)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**493,508**
საპროცენტო ხარჯი	55,580
ძირი თანხის დაფარვა	(8,110)
აქციონერისგან ნასესხები სახსრების რეალური ღირებულების შეფასების წმინდა გავლენა	128,569
ერთობლივი ნასესხები სახსრების აღიარება*	86,242
ერთობლივი ნასესხები სახსრების დაფარვა*	(5,541)
სავალუტო კორექტირებები	(82,453)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**667,795**

(*)ბანკებიდან ერთობლივი ნასესხები სახსრები გატანილი და დაფარულია პირველადი მსესხებლის -ხვიჩა მაქაცარიას მიერ. შესაბამისად, ეს წარმოადგენს კომპანიისთვის უნაღდო მოძრაობებს და არ ახდენს გავლენას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე.

15 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი (მათ შორის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქციების 100%, რომლებიც ეკუთვნის შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI)) და აქტივები, რომლებსაც კომპანია შეიძენს მომავალში, დაგირავებულია მესამე მხარეებისთვის უზრუნველყოფის სახით ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან დაკავშრებით.

16 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	9,316	7,171
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	14,909	15,553
სულ საიჯარო ვალდებულებები	**24,225**	**22,724**

კომპანიას აქვს ფიქსირებული საიჯარო გადასახადი ყველა სახის იჯარაზე. კომპანია ყველა სახის მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხელშეკრულებას აღრიცხავს როგორც საიჯარო ვალდებულებას და იჯარასთან დაკავშირებული არანაირი ხარჯი არ ხვდება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილმა თანხამ 2022 წელს შეადგინა 14,270 ათასი ლარი (2021: 11,603 ლარი).

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს საიჯარო ვალდებულებების ანალიზს და ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებათა პოზიციები მოცემულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც საფინანსო:

	საიჯარო ვალდებულება
საიჯარო ვალდებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**25,655**
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	1,826
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(1,826)
ახალი იჯარის ვალდებულების დამატება ან ხელახალი შეფასება	7,044
ძირი თანხის გადახდა	(9,777)
სავალუტო შემოსულობა	(198)
საიჯარო ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**22,724**
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	2,583
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(2,583)
ახალი იჯარის ვალდებულების დამატება ან ხელახალი შეფასება	14,027
ძირი თანხის გადახდა	(11,687)
სავალუტო შემოსულობა	(838)
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24,226**

17 ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის

მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის შეადგენდა 1,921 ათას ლარს (2021 წელს: 2,677 ათასი ლარი).

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებაში მოძრაობა:

	2022	2021
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**2,677**	**3,686**
დამატება ძირითად საშუალებებზე	6	27
ცვლილებები ძირითად საშუალებებთან მიმართებაში კორექტირებულ შეფასებებში	(892)	(1,205)
გამოყენება	(122)	(195)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	252	364
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,921**	**2,677**

18 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები:		
- მომსახურებისთვის	28,474	27,930
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	11,213	20,451
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	6,846	6,826
- ურთიერთჩართვისთვის	1,645	1,815
- როუმინგისთვის	562	660
- მარაგებისთვის	114	92
სხვა	595	581
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**49,449**	**58,355**

ზემოთ ჩამოთვლილ ფინანსური ვალდებულებების გადასახდელ თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 90 დღემდე ვადაში.

19 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

მომსახურებიდან შემოსავალი მოიცავდა შემდეგს, 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	2022	2021
ამონაგები მონაცემთა მომსახურებიდან	53,793	44,011
ამონაგები ხმოვანი მომსახურებიდან	41,705	42,610
ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან	13,159	10,196
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	11,683	7,199
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	8,502	9,291
სტუმრის როუმინგი	4,815	3,459
ამონაგები საკუთარი აბონენტების როუმინგის მომსახურებიდან	3,028	1,284
ამონაგები SMS მომსახურებიდან	2,394	6,244
სხვა	1,579	1,508
სულ ამონაგები მომსახურებიდან	**140,658**	**125,802**

2014 წლიდან, სელფი მობაილ შეუერთდა ფასდაკლების პროგრამას, რომელსაც მართავდა მასთან დაკავშირებული მხარე - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, რომლის თანახმადაც, კომპანია სთავაზობს ფასდაკლებებს როუმინგის მომსახურებაზე უცხოურ ოპერატორებს და ახდენს მის გამოქვითვას „სტუმრის როუმინგის“ ამონაგებიდან. ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს დაკავშირებული კომპანია საერთაშორისო როუმინგული ტრაფიკის გამოყენების საფუძველზე. 2022 წელს, კომპანიამ აღრიცხა 4,872 ათასი ლარის (2021 წელს: 3,345 ათასი ლარი) ფასდაკლება.

სრული ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში.

20 მომსახურების ხარჯი

31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2022	2021
ურთიერთჩართვის ღირებულება	13,682	13,827
A2P შეტყობინებების ღირებულება	5,770	3,559
კონტენტის ღირებულება	2,806	1,978
როუმინგის ღირებულება	1,225	1,447
მონაცემტან მომსახურების ღირებულება	1,026	1,029
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	732	680
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	32	37
სულ მომსახურების ღირებულება	**25,273**	**22,557**

21 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	4,715	3,087
პროფესიული მომსახურების საფასური*	2,390	2,284
მარეგულირებლის საფასური	1,070	899
ქონების გადასახადი	905	564
საგადასახადო ხარჯები მოგების გადასახადის გარდა	732	657
საკონტრაქტო ხარჯების ამორტიზაცია	673	708
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	284	133
მივლინებები	253	237
დილერის საკომისიო	163	192
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა	(759)	334
სხვა	1,046	1,302
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**11,472**	**10,397**

(*) პროფესიული მომსახურების საფასური მოიცავს 278 ათას ლარს (2021: 213 ათასი ლარი) - ხარჯი, რომლის გაწევაც მოხდა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მიწოდებული აუდიტის მომსახურებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

22 ხელმძღვანელობის საფასური

2017 წლის 16 მარტს, კომპანიამ შპს „ვიონთან“ გააფორმა გენერალური მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან და რომელიც გულისხმობდა შპს „ვიონის“ მიერ მართვის მომსახურების მიწოდებას, შემდეგის ჩათვლით: ფინანსური და საბუღალტრო მომსახურება, სახაზინო მომსახურება, საგადასახადო მომსახურება, ინვესტორთან ურთიერთობების მომსახურება, გარანტიის უზრუნველყოფის მომსახურება და შერწყმისა და შეძენის (M&A) მომსახურება. 2021 წლის განმავლობაში და 2022 წლის მაისამდე ხელმძღვანელობის საფასური მოიცავს ხარჯებთან დაკავშირებულ გადასახადს, სახაზინო მომსახურებას და სხვა ყოველდღიურ საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც გაწეული იყო ყოფილი სათაო ოფისის მიერ კომპანიასთან დაკავშრებით. 2022 წლის 8 ივნისიდან, M&A გარიგების შემდეგ, აღნიშნული გენერალური მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტილია.

23 ფინანსური ხარჯები

	2022	2021
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	55,580	59,097
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	2,583	1,826
აქტივების ბრუნვიდან ამოღების ვალდებულებების ხარჯი; დღევანდელი ღირებულების დისკონტის გაუქმება	252	364
სულ ფინანსური ხარჯები	**58,415**	**61,287**

24 ფინანსური შემოსავალი

	2022	2021
საიჯარო ვალდებულებების დროზე ადრე დასრულებისგან მიღებული შემოსულობა	195	99
საპროცენტო შემოსავალი	773	843
სულ ფინანსური შემოსავალი	**968**	**942**

25 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
სასპონსორო	(109)	(11)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	616	269
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	**507**	**258**

26 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან, მოგების გადასახადის გადახდა ხდება განაწილებულ მოგებაზე და გადავადებული გადასახადები არ აღიარდება (შენიშვნა 4).

27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად ითვლება, რომ მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2022 წელს კომპანიის მფლობელობაში ცვლილების გამო, შესაბამისად შეიცვალა კომპანიის დაკავშირებული მხარეები (შენიშვნა 1). შედეგად, ოპერაციები და ნაშთები, როგორც მოქმედ, ისე ყოფილ დაკავშირებულ მხარეებთან, წარმოდგენილია შესაბამისი პერიოდების გათვალისწინებით, რომლებშიც მხარეები წარმოადგენდნენ დაკავშირებულ მხარეებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
უშუალო მშობელი		
შპს Watertrail Industries	-	604,434
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
ჯგუფის სხვა კომპანიები	138	248

27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირე-ბული მხარეებისგან	როუმინგის ფასდათმობები	როუმინგის ფასდაკლებები
ყოფილი დაკავშირებული მხარეები:				
უშუალო მშობელი				
ღსს Vimpelcom	1,197	886	280	153
შპს ვიონი	-	130	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
VEON Holding	-	26,543	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	523	511	231	24

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირე-ბული მხარეებისგან	როუმინგის ფასდათმობები	როუმინგის ფასდაკლებები
ამჟამინდელი დაკავშირებული მხარეები:				
უშუალო მშობელი				
შპს Watertrail Industries	-	23,322	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
ჯგუფის სხვა კომპანიები	5	1,511	-	-

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირე-ბული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა	როუმინგის ფასდათმობები	როუმინგის ფასდაკლებები
უშუალო მშობელი						
ღსს Vimpelcom	2,051	2,152	180	-	433	-
შპს ვიონი	-	174	1,508	19,142	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები						
VEON Holding	-	59,097	-	493,508	-	-
ჯგუფის სხვა კომპანიები	1,975	440	1,096	2,780	582	92

27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან განმარტებულია მე-15 შენიშვნაში.

მთლიანი ანაზღაურება მმართველი ხელმძღვანელი პირებისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, ტექნოლოგიური დირექტორის, იურიდული დირექტორის, პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექტორის, ეთიკისა და კომპლაენსის სამსახურის ხელმძღვანელის, მომხმარებლის გამოცდილების მენეჯერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის), რომელიც გატარებულია თანამშრომლების სარგებლის ხარჯებში, შეადგენდა GEL 6,375 ათას ლარსა და 3,489 ათას ლარს 2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შესაბამისად (2021 წელს ხელმძღვანელი პირები იყვნენ გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ბიზნეს ოპერაციების დირექტორი, ტექნოლოგიური დირექტორი და პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექტორი). მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ძირითადად შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და შესრულების პრემიისგან, რომელიც ეფუძნება საოპერაციო შედეგებს. გარდა ამისა, 2022 წელს მთავარ ხელმძღვანელ პირებს გადაეცათ ერთჯერადი ბონუსი 2,971 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ჯილდო M&A გარიგების წარმატებით დასრულებისთვის.

28 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო ფასების რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები .კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- სესხები და ნასესხები სახსრები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო გაყიდვებისგან წარმოქმნილ საკრედიტო რისკებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (ანუ, საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკი ('EAD') არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტირების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ("EIR") ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოდელირებულია ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდზე. სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდი უტოლდება სავალო ინსტრუმენტების დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, დაკორექტირებულს მოსალოდნელი გადახდილი ავანსებისთვის, თუ ასეთი არსებობს.

ხელმძღვანელობა ახდენს *სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელირებას, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ ცვლილებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- მსესხებელმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- მსესხებელი გარდაცვლილია;
- მსესხებელი გადახდისუუნაროა;

გამჭვირვალობის მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის აქტივებისთვის.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როდესაც ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილდება.

- მსესხებელს აქვს საკონტრაქტო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება

კომპანია ECL-ს პორტფელის საფუძველზე აფასებს. როდესაც შეფასება ხორციელდება პორტფელის საფუძველზე, კომპანია აანალიზებს მის დაქვემდებარებას საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით, ისე, რომ ჯგუფში არსებული ექსპოზიციები ერთგვაროვან ან მსგავს რისკებს შეიცავს.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო წლის და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გასაანგარიშებლად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ან მის მიახლოებულ მნიშვნელობას.

საბაზრო ფასის რისკი. საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკისგან.

a. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს აქციონერისგან მოზიდული დაფინანსების გამო, ვინაიდან სესხები არის ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით. რაც შეეხება ბანკებიდან ერთობლივ ნასესხებ სახსრებს, კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან სესხებს აქვთ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი (შენიშვნა 15).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ექვემდებარებოდა საპროცენტო განაკვეთის რისკს მოზიდულ დაფინანსებაზე, რადგან ყველა ფინანსურ ვალდებულებას ფიქსირებული პროცენტი ჰქონდა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია უფრო ადრეულის, სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით:

	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	არაფულადი	სულ
2022 წლის 31 ერთობლივი ნასესხები სახსრები (შენიშვნა	-	-	-	81,792	-	**81,792**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**-**	**81,792**	**-**	**81,792**

b. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოური სავალუტო კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომპანიის რისკი უკავშირდება მის ნასესხებ სახსრებს. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. ამ კონკრეტული ფულადი ნაკადების გარდა, კომპანია მიზნად ისახავს შესაბამის ვალუტაში არსებული ხარჯებისა და ინვესტიციების დაფინანსებას და სავალუტო რისკის მართვას ადგილობრივ დონეზე იმ ვალუტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანით, რომელშიც ის გამოიმუშავებს ამონაგებს და რომლითაც ის გასწევს ხარჯებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია მგრძნობელობა აშშ-ს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებებთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში.

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(61,088)	(61,088)	(52,944)	(52,944)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	61,088	61,088	52,944	52,944
ევროს გამყარება 10%-ით	(4,650)	(4,650)	(1,006)	(1,006)
ევროს გაუფასურება 10%-ით	4,650	4,650	1,006	1,006

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ:

	2022 წლის 31 დეკემბერი			2021 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	10,033	(620,916)	(610,883)	8,407	(537,852)	(529,445)
ევრო	1,805	(48,304)	(46,499)	1,739	(11,796)	(10,057)
სულ	**11,838**	**(669,220)**	**(657,382)**	**10,146**	**(549,648)**	**(539,502)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე დაფარვის ვადის დადგომისას.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და ნასესხები სახსრები	667,795	4,777	14,331	76,432	1,133,938	1,229,478
საიჯარო ვალდებულებები	24,225	2,580	6,720	16,419	712	26,431
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,449	49,449	-	-	-	49,449
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**741,469**	**56,806**	**21,051**	**92,851**	**1,134,650**	**1,305,358**

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ არადისკონტირებული
სესხები და ნასესხები სახსრები	493,508	-	-	-	1,734,516	1,734,516
საიჯარო ვალდებულებები	22,724	2,461	6,019	17,139	659	26,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	58,355	58,355	-	-	-	58,355
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**574,587**	**60,816**	**6,019**	**17,139**	**1,735,175**	**1,819,149**

29 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანებია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს აქციონერებისთვის ამონაგების განაწილება და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის მოტანა და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, აქციონერებისთვის კაპიტალის დაბრუნება, გამოსცეს ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები, ვალის შემცირების მიზნით. კომპანიის ხელმძღვანელობას შემუშავებული არ აქვს კაპიტალის მართვის მკაფიო პროცედურა.

30 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადია და (iii) მესამე დონის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე არსებულ დაკვირვებად მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. რეალური ღირებულებები გაანალიზებული მათი დონის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით, არის შემდეგი:

	2022 წლის 31 დეკემბერი				2021 წლის 31 დეკემბერი			
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
აქტივები ამორტიზებული ღირებულებით								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,422	-	-	**17,422**	19,517	-	-	**19,517**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	15,221	**15,221**	-	-	9,390	**9,390**
სულ ფინანსური აქტივები	**17,422**	**-**	**15,221**	**32,643**	**19,517**	**-**	**9,390**	**28,907**
ვალდებულებები								
ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით								
-სესხები და ნასესხები			667,795	**667,795**			493,508	**493,508**
სახსრები	-	-			-	-		
-საიჯარო ვალდებულებები	-	-	24,225	**24,225**	-	-	22,724	**22,724**
-სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			49,449	**49,449**			58,355	**58,355**
	-	-			-	-		
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**741,469**	**741,469**	**-**	**-**	**574,587**	**574,587**

30 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, როგორც წესი, არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

31 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები მოექცა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში.

32 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო საქმისწარმოება. დროდადრო და ჩვეულებრივი საქმიანობის რეჟიმში, შესაძლოა მიღებულ იქნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ამჟამად კომპანიას აქვს ორი მიმდინარე სასამართლო დავა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სადაც ითხოვენ კომპანიის მხრიდან ზარალის ანაზღაურებას ჯამურად 748 ათასი ლარის ოდენობით. ზარალის მიყენება მოხდა ხანძრის გამო, რომელიც გაუჩნდა კომპანიის სატელეკომუნიკაციო ხაზებს. პრეტენზიების ჯამური მოცულობა 748 ათასი ლარია. საკუთარი შეფასებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ საკმაოდ სავარაუდოა, რომ კომპანია წააგებს საქმეებს. თუმცა, რადგან პრეტენზიების ჯამური ოდენობა უმნიშვნელოა, არ არის მოსალოდნელი არსებითი ზარალის წარმოშობა პრეტენზიებთან დაკავშირებით, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნა აღიარებული ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად არის ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომლის განსხვავებული ინტერპრეტაციები გააჩნია სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს. გადასახადები ექვემდებარება გადახედვას და გამოძიებას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მძიმე ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ გადახედვისთვის შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შეიძლება უფრო მეტხანსაც დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მან ადეკვატურად წარმოადგინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაძლოა მათი ეფექტი ამ ფინანსურ ინფორმაციაზე იყოს მნიშვნელოვანი, თუ ეს ორგანოები შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას.

2022 წლის 29 დეკემბერს კომპანიამ მიიღო 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის საგადასახადო შემოწმების შედეგები, რის საფუძველზეც კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გაიზარდა 1,155 ათასი ლარით, საიდანაც 755 ათასი ლარი ქონების გადასახადს ეხება, ხოლო 400 ათასი ლარი წარმოადგენს შესაბამის დარიცხულ ჯარიმებს. კომპანიამ გაასაჩივრა საგადასახადო შემოწმების შედეგები და ხელმძღვანელობის შეფასებით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ისინი წარმატებას მიაღწევენ საქმეში, შესაბამისად, დარიცხული თანხები არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებისთვის. მობილური ქსელებისთვის საბაზო სადგურები აგებულია იჯარით აღებულ მიწაზე და ამ იჯარის ვადა ითვალისწინებს მიწის ან შენობა-ნაგებობების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას იჯარის ვადის ამოწურვისას. ეს ვალდებულება მოხსენიებულია როგორც „ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღებითვის“ და აღიარებულია მოწყობილობების დამონტაჟებისას. აქტივების ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულება აღიარებული და შეფასებულია მომავალში მოწყობილობების დემონტაჟისა და გატანის და ადგილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების საუკეთესო მიახლოებითი ხარჯების მიხედვით (შენიშვნა 17).

შესაბამისობა კოვენანტებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ კოვენანტებს მის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით. ასეთი კოვენანტების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის ხელშეკრულებების შეწყვეტა და/ან სრული ან ნაწილობრივი დაფარვის მოთხოვნა სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე. კომპანია შესაბამისობაში იყო კოვენანტებთან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	4,035	2,029	6,064
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	2,130	(2,130)	-
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**6,165**	**(101)**	**6,064**
ვალდებულები			
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდათმობებისგან	(6,951)	101	(6,850)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(6,951)**	**101**	**(6,850)**

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

33 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარული მთლიანი თანხები (b	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	5,051	(892)	4,159
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	1,146	(1,146)	-
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**6,197**	**(2,038)**	**4,159**
ვალდებულებები			
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდათმობებისგან	(8,864)	2,038	(6,826)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(8,864)**	**2,038**	**(6,826)**

სვეტში (b) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის თანხა ნაკლებია: (i) ურთიერთგადაფარვამდე მთლიან თანხაზე, რომელიც ასახულია (a) სვეტში და (ii) დაკავშირებულ ინსტრუმენტთან რომელიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას (c) ყოველი ინდივიდუალური ინსტრუმენტისათვის, რათა არ მოხდეს საბოლოო წმინდა დაქვემდებარების არასრულად წარმოჩენა.

კომპანიას ურთიერთჩათვლის გენერალური შეთანხმებები აქვს გაფორმებული, რომლებიც აღსრულებადია დეფოლტის შემთხვევაში. ამასთან, შესაბამისი კანონმდებლობით ნებადართულია საწარმოს მიერ სავაჭრო მოთხოვნების ცალმხრივად ჩათვლა, ისევე როგორც ვალდებულების, რომლებიც გადასახდელია და ასახულია იმავე ვალუტაში და დასაფარია იმავე პარტნიორთან. აღნიშნული ექვემდებარება განმარტებას, რადგან ისინი გადაფარულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

34 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები მთავარ ხელმძღვანელ პირებში. 2023 წლის 1 მარტიდან კომპანიის გენერალური დირექტორი ლაშა ტაბიძე შეიცვალა კომპანიის მაშინდელი ფინანსური დირექტორით ვასილ ბერიშვილით. ირაკლი ჭედია ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2023 წლის 20 მარტიდან დაინიშნა.

ახალი ლოგო და ბრენდის სახელი. ვინაიდან კომპანია აღარ არის VEON ჯგუფის ნაწილი, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის ახალი, ციფრული პროდუქტების განვითარებისკენ მიმართული მისი სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად, ბაზარზე ახალი ბრენდის ქვეშ საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, 2023 წლის 5 აპრილიდან, კომპანია ოპერირებს ახალი ბრენდის სახელითა და ლოგოთი - სელფი მობაილ (Cellfie Mobile), რომელიც წარმოადგენს მის სრულიად ახალ სტრატეგიას აბონენტებისთვის თანამედროვე და ინოვაციური შეთავაზებებით უზრუნველსაყოფად.

ახალი იურიდიული სახელი. 2023 წლის 24 აპრილს, რებრენდინგის კამპანიის ფარგლებში, კომპანიის იურიდიული სახელწოდება შეიცვალა შპს ვიონ საქართველოდან შპს სელფი მობაილ-ზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სელფი მობაილის ხელმძღვანელობას და მესაკუთრეს:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს სელფი მობაილის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2023 წლის 12 ივლისი
თბილისი, საქართველო



შპს სელფი მობაილის

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წელი

სარჩევი

კომპანიის შესახებ 3

საქმიანობის მიმოხილვა და კონკურენტების ანალიზი.....3

კომპანიის გაყიდვის ოფისები.....6

კომპანიის განვითარების გეგმები.....6

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....7

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ.....9

ძირითადი რისკების ანალიზი.....9

კომპანიის შესახებ

შპს სელფი მობაილ („კომპანია“) დაარსდა 2003 წლის 19 ნოემბერს შპს მობიტელის სახელით. კომპანიის სახელის ბოლო ცვლილება მოხდა 2023 წლის 24 აპრილს და გახდა შპს სელფი მობაილ. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია ნომრით 204450584, შემდეგ მისამართზე: ბამბის რიგი #8, თბილისი, საქართველო. ფაქტობრივი მისამართია: წერეთლის გამზირი #118ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის აქციონერები არიან Watertrail Industries Ltd (BVI) - 71% და Investico Alliance Ltd (BVI) - 29%. 2022 წლის 8 ივნისს მოხდა სადამფუძნებლო სტრუქტურის ცვლილება და კომპანიის აქციონერების, Watertrail Industries Ltd (BVI) და Investico Alliance Ltd (BVI), წილის 100% იყიდა საქართველოს მოქალაქე ხვიჩა მაქაცარიამ, რომელიც წარსულში ფლობდა შპს სელფი მობაილის 20%-იან წილს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს სელფი მობაილის საბოლოო კონტროლს ახორციელებდა საქართველოს მოქალაქე ხვიჩა მაქაცარია.

სელფი მობაილის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მობილურ საცალო და საბითუმო სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს.

მობილური საცალო სატელეკომუნიკაციო მომსახურება მოიცავს მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებულ ზარს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, მობილურ ინტერნეტს და სხვა მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას.


მობილური საბითუმო მომსახურება მოიცავს განსაზღვრული პირობებით ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის უზრუნველყოფას; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსებით, ანძებით და ბოძებით სარგებლობის უზრუნველყოფას; თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას; მობილური საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით) სარგებლობის უზრუნველყოფას.

საქმიანობის მიმოხილვა და კონკურენტების ანალიზი

შპს სელფი მობაილის მეშვეობით პირველი მობილური ზარი 2007 წლის 15 მარტს განხორციელდა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით 1.33 მილიონ მომხმარებელს უზრუნველყოფს 2G, 3G, 4G უსადენო მომსახურებით 800, 900, 1,800 და 2,100 MHz სიხშირეების გამოყენებით.

სელფი მობაილთან ერთად საქართველოში მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები არიან შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი. სელფი მობაილ შემოსავლებისა და აბონენტების რაოდენობით მესამე ადგილზეა. სელფი მობაილის მობილური აბონენტების რაოდენობა 2022 წლის დეკემბერში წინა წლის ბოლოსთან შედარებით 3%-ით გაიზარდა და აღნიშნული ბაზრის 25% შეადგინა, ხოლო შემოსავლებმა 2022 წლის მდგომარეობით მობილური საცალო ბაზრის 16% შეადგინა.


ბაზრის წილები კომპანიებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებაზე, სატარიფო გეგმების განახლებაზე და მათი მომხმარებლის სურვილზე მორგებაზე.


2022 წელს კომპანიის შემოსავლები გაიზარდა 12%-ით წინა წელთან შედარებით, რაც მობილური საცალო ბაზრის წლიური ზრდის ნახევარია (26%).

2020-2022 წლებში ოპერატორების მიხედვით შემოსავლების განაწილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:




2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სელფი მობაილ მობილური ინტერნეტის ტრაფიკით მესამე ადგილზე იყო და ბაზრის 18%-ს ფლობდა (2021 წელს იგივე მაჩვენებელი ასევე 18% იყო).

იხილეთ მობილური ტრაფიკის (TB) განაწილება თვეების და კომპანიების მიხედვით ქვემოთ მოცემულ ცხრილში:



2020-2022 წლებში ოპერატორების მიხედვით ინტერნეტ ტრაფიკის (TB) განაწილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები:



როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, სელფი მობაილის ინტერნეტის ტრაფიკის ტრენდი სტაბილურად მზარდია წლიდან წლამდე. 2021 წელს კომპანიამ მოახერხა წინა წელთან შედარებით ინტერნეტ ტრაფიკის 33%-იანი ზრდა. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 2022 წელსაც და ინტერნეტ ტრაფიკი 39%-ით აღემატებოდა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კომპანიას 2022 წლის მდგომარეობით ჰქონდა 1,239 საბაზო სადგური, ხოლო 2021 წლის მდგომარეობით 1,241.

კომპანიის გაყიდვების ოფისები

2022 წლის მდგომარეობით, კომპანიას საქართველოს მასშტაბით ჰქონდა 28 საკუათარი მაღაზია, აქედან 11 თბილისში, ხოლო 17 სხვადასხვა რეგიონებში.

საკუთარ მაღაზიებში მუშაობენ სელფი მობაილის კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომლებიც, როგორც ახალ, ასევე არსებულ აბონენტებს უწევენ მაღალი ხარისხის მომსახურებას.

საკუთარ მაღაზიებში აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია/დახმარება ნებისმიერ საკითხზე, შეიძინონ სიმ ბარათი (USIM და ESIM), გაიაქტიურონ სასურველი პაკეტები, შეავსონ ბალანსი და გააკეთონ პორტირება.

გარდა საკუთარი მაღაზიებისა, 2022 წელს სელფი მობაილის SIM (USIM მხოლოდ) ბარათების შეძენა შესაძლებელი იყო 12 ფრანჩიზაში, საქართველოს ფოსტის 81 სერვის ცენტრში და 380 სავაჭრო წერტილში ქვეყნის მაშტაბით. რაც შეეხება მომსახურების ნაწილს, ფრანჩიზებში სიმის შეძენის გარდა, აბონენტს შეუძლია მიიღოს საკუთარ მაღაზიებთან მიახლოებული სერვისი (ნომრის აღდგენა, პორტრება, მომსახურების ჩართვა, ბალანსის შევსება), ხოლო საქართელოს ფოსტის სერვის ცენტრებში აღადგინოს ნომერი. სავაჭრო ქსელში მხოლოდ ნომრის ყიდვა არის ხელმისაწვდომი, თუმცა არსებობს 30-მდე მსხვილი წერტილი, რომელბიც ასევე სთავაზობენ აბონენტებს ნომრის აღდგენასა და პორტირებას.

კომპანიის განვითარების გეგმები

სელფი მობაილ ქმნის ახალ გამოცდილებას კავშირგაბმულობის ბაზარზე. მისი განვითარებული ციფრული ეკოსისტემის დამსახურებით კომპანია დგას ციფრული ტრანსფორმაციის სათავეში, რომლის არსიც სიახლეებისთვის, მათ შორის, ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის მზადყოფნაა. კომპანიის მიზანია შექმნას და გააუმჯობესოს აბონენტების საჭიროებებზე მორგებული ციფრული პროდუქტები, მისცეს მომხმარებელს ახალი გამოცდილება და გაუმარტივოს ყოველდღიურობა.

კომპანიის პრიორიტეტია ისეთი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, რომლებიც რეალურად დაეხმარება ადამიანებს ყოველდღიური საჭიროებების გადაწყვეტაში და დასახული მიზნების მიღწევაში. სელფი მობაილის სტრატეგიის ნაწილში მნიშვნელოვანი როლი აქვს ციფრული არხების და ციფრული პროდუქტების განვითარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2022 წელსაც. გაფორმდა პარტნიორობა სეტანტასთან და შეიქმნა სპეციალური ინტენეტ პაკეტი „უქომაგე ქართველს“, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს უგულშემატკივრონ

ქართველ სპორტსმენებს. დამატებით პარტნიორობა გაფორმდა ქართულ ფიტნეს აპლიკაციასთან, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია შეადგინოს და მიყვეს სავარჯიშო გეგმას.

წლის განმავლობაში ასევე აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო მონეტიზაციის პოლიტიკის განხორციელება, რის შედეგადაც მოხდა პროდუქტებში ცვლილებების იმპლემენტაცია და პროდუქტული ხაზის განახლება. მონეტიზაციის პოლიტიკის მიზანი იყო შემოსავლების სტიმულირება და აბონენტების კმაყოფილების შენარჩუნება.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მოგება/ზარალის აუდირებული ანგარიშგება			**ცვლილება**	
000 ₾	**2022**	**2021**	**₾**	**%**
შემოსავალი მომსახურებიდან	140 658	125 802	14 856	12%
სულ საოპერაციო შემოსავალი	**140 658**	**125 802**	**14 856**	**12%**
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(25 273)	(22 557)	(2 716)	12%
თანამშრომლების სარგებლის ანაზღაურება	(21 014)	(17 640)	(3 374)	19%
გრძელვადიანი აქტივების ტექნიკური მომსახურება	(8 094)	(9 234)	1 140	-12%
კომუნალური ხარჯები	(8 099)	(7 233)	(866)	12%
მარკეტინგის ხარჯები	(3 202)	(3 492)	290	-8%
მენეჯმენტის მომსახურების ანაზღაურება	(81)	(495)	414	-84%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(11 472)	(10 397)	(1 075)	10%
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(30 622)	(24 349)	(6 273)	26%
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(4 141)	(3 278)	(863)	26%
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(96)	(639)	543	-85%
საოპერაციო მოგება	**28 564**	**26 488**	**2,076**	**8%**
ფინანსური ხარჯი	(58 415)	(61 287)	2 872	-5%
ფინანსური შემოსავალი	968	942	26	3%
საკურსო სხვაობისგან მიღებული ზარალი/შემოსავალი	87 200	28 410	58 790	207%
სხვა არასაოპერაციო ზარალი/შემოსავალი	507	258	249	97%
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	**58 824**	**(5 189)**	**64 013**	**-1234%**
მოგების გადასახადი	-	-	-	0%
წმინდა მოგება/ზარალი	**58 824**	**(5 189)**	**64 013**	**-1234%**

2022 წელს კომპანიის საოპერაციო მოგება გაიზარდა 8%-ით. 2022 წელს მოხდა ცვლილებები სატარიფო გეგმებში, შეიქმნა მობილური მომსახურებების პაკეტები დამატებითი ღირებულების მომსახურებებით, გარდა ამისა, 2022 წელს კომპანია აგრძელებს ახალი პარტნიორების მოზიდვას კომერციული სმს-ების (ე.წ. „Bulk SMS") მიმართულებით და შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი A2P მოკლე ტექსტური შეტყობინებებიდან. 2022 წლიდან Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული სანქციების გაუქმებამ გაზარდა როუმინგული მომსახურებიდან მიღებული

შემოსავლები, როგორც საცალო, ისე საბითუმო მიმართულებით. ეს ყოველივე საბოლოო ჯამში დადებითად აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და კომპანიის საოპერაციო შემოსავლები გაიზარდა 12%-ით. შემოსავლების ზრდის პროპორციულად ასევე გაიზარდა თვითღირებულების ხარჯები, რომლის ზრდამ შეადგინა 12% და ძირითადად გამოწვეული იყო მობილური მომსახურების პაკეტებში დამატებითი ღირებულების სერვისების დამატებით გაზრდილი კონტენტის ხარჯით, ასევე 2022 წლიდან A2P მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომსახურებას დაემატა სატრანზიტო ხარჯები, რამაც გაზარდა ხარჯი ამ მიმართულებით.

შემოსავლების დეტალური ჩაშლა			**ცვლილება**	
000 ₾	**2022**	**2021**	**₾**	**%**
შემოსავალი ხმოვანი მომსახურებიდან	41 705	42 610	(905)	-2%
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	53 793	44 011	9 782	22%
შემოსავალი ურთიერთდაკავშირების მომსახურებიდან	8 502	9 291	(789)	-8%
შემოსავალი A2P ტექსტური შეტყობინებებიდან	13 159	10 196	2 963	29%
სტუმრის როუმინგი	4 815	3 459	1 356	39%
შემოსავალი ტექსტური შეტყობინებებიდან	2 394	6 244	(3 850)	-62%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	11 683	7 199	4 484	62%
შემოსავალი საკუთარი აბონენტის როუმინგის მომსახურებიდან	3 028	1 284	1 744	136%
სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები	1 579	1 508	71	5%
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	**140 658**	**125 802**	**14 856**	**12%**

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ქვეკატეგორიებში ცვლილებები გამოწვეულია ბაზარზე არსებული ტენდენციებით, რომლის მიხედვითაც ინტერნეტის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება და გარკვეულწილად ანაცვლებს შემოსავალს სხვა ტიპის მომსახურებებიდან.

თვითღირებულების ანალიზი			**ცვლილება**	
000 ₾	**2022**	**2021**	**₾**	**%**
ურთიერთდაკავშირების ღირებულება	13 682	13 827	(144)	-1%
A2P ტექსტური შეტყობინებების ღირებულება	5 770	3 559	2 211	62%
მონაცემთა გადაცემის მოსმახურების ღირებულება	1 026	1 029	(3)	0%
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	732	680	52	8%
როუმინგის ღირებულება	1 225	1 447	(222)	-15%
კონტენტის ღირებულება	2 806	1 978	829	42%
გაყიდული გადასაფხეკი ბარათების ღირებულება	32	37	(5)	-14%
სულ მომსახურების ხარჯი	**25 273**	**22 557**	**2 717**	**12%**

მომსახურების თვითღირებულების ხარჯები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 12%, რაც განპირობებულია შესაბამისი შემოსავლების ზრდით.

ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულთა შესახებ

2022 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 350 ადამიანი.

დეპარტამენტების მიხედვით თანამშრომლების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა

მიმართულება	2022	2021
ტექნოლოგიების დეპარტამენტი	68	67
ადმინისტრაცია	12	10
პერსონალთან მუშაობის და ადმინისტრაციულ საკითხთა დეპარტამენტი	6	6
ბიზნეს ოპერაციების დეპარტამენტი	113	115
რეგიონები	103	94
ფინანსები	35	36
იურიდიული სამსახური	6	7
საზოგადოებასთან ურთიერთობა	2	2
ეთიკის და კომპლაენსის დეპარტამენტი	2	2
CEO	3	3
სულ თანამშრომლების რაოდენობა	**350**	**342**

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდანაც ჩანს, კომპანიაში არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც ზრუნავს კომპანიაში ეთიკასთან და კომპლაენსთან (compliance) დაკავშირებული საკითხების მართვაზე, მათ შორის თანამშრომლების უფლებების დაცვა, კორუფციის რისკის აღმოფხვრა და ა.შ.

ძირითადი რისკების ანალიზი

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე კომპანია ექვემდებარება შემდეგი სახის ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო ფასების რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი - მენეჯმენტი მთელი არსებობის მანძილზე ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელირებას, ანუ იმ დანაკარგების, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დარჩენილ პერიოდში შესაძლო დეფოლტის შედეგად წარმოიშობა. კომპანია პორტფელის მიხედვით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანია თითოეულ პორტფელს უსადაგებს შესაბამის დეფოლტის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს ვადაგადაცილების პერიოდს, გადახდისუუნარობას, მსესხებლის გარდაცვალებას, ა.შ.

საბაზრო ფასის რისკი - საბაზრო ფასის რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას მისი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები დენომინირებული აქვს დოლარში, ის დგას სავალუტო რისკის წინაშე, თუმცა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ხდება სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინება და საქმიანობები იგეგმება შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი - არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მაშინ, როდესაც დგება ვალდებულებების დაფარვის ვადა.

კომპანიაში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი ხდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მიმდინარე ვალდებულებების გადახედვას.

სელფი მობაილის შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რადგან ვალდებულებების დაფარვა ხდება წინასწარ შეთანხმებული გადახდის პირობების მიხედვით და ისტორიის მიხედვით არ დაფიქსირებულა ვადაგადაცილება. ფულადი სახსრების მოძრაობა არის ყოველწლიურად დადებითი და კომპანიაში მიმდინარე ქსელის მოდერნიზაციისთვის გაწეული კაპიტალური ხარჯები დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით.

2023 წლის 12 ივლისი

ვასილ ბერიშვილი	ირაკლი ჭედია
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას მისი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები დენომინირებული აქვს დოლარში, ის დგას სავალუტო რისკის წინაშე, თუმცა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ხდება სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინება და საქმიანობები იგეგმება შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი - არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მაშინ, როდესაც დგება ვალდებულებების დაფარვის ვადა.

კომპანიაში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი ხდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მიმდინარე ვალდებულებების გადახედვას.

სელფი მობაილის შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რადგან ვალდებულებების დაფარვა ხდება წინასწარ შეთანხმებული გადახდის პირობების მიხედვით და ისტორიის მიხედვით არ დაფიქსირებულა ვადაგადაცილება. ფულადი სახსრების მოძრაობა არის ყოველწლიურად დადებითი და კომპანიაში მიმდინარე ქსელის მოდერნიზაციისთვის გაწეული კაპიტალური ხარჯები დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით.

2023 წლის 12 ივლისი

ვასილ ბერიშვილი

გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია

ფინანსური დირექტორი

22 დეკემბერი 2023 წ.

პასუხისმგებელი პირების განცხადება

მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, ზუსტად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.
- მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და უზრუნველყოფს აქციონერებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ბიზნესსტრატეგიის შესაფასებლად.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია კომპანის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატა საბჭოს მიერ.

ვასილ ბერიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

გიორგი ვერძაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე